ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

„მან დაინახა, როგორ ურტყამდა მიხეილ კალანდია დავით სარალიძეს წაწვეტებულ საგანს“

ლევან დადუნაშვილის მკვლელობაში მსჯავრდებულმა გუგა ბარბაქაძემ მიხეილ კალანდიას წინააღმდეგ ჩვენება მისცა



გვ.5

21 იანვრიდან

რევაზ მიშველაძე

ქრისტე

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი




ოთხშაბათი, 22 იანვარი, 2020

№17 (8281)

ფასი: 60 თეთრი

# ბრიუსელში „ქართულ ოცნებას“ განკითხვის დღე მოუწყვეს





გვ.2

მარკ გალერი: „აღიარეთ, რომ ივანიშვილი პროპორციული სისტემის ჩავარდნის სცენარს აწყობდა“

ანდრიუს კუბილიუსი: „არის საქართველოში ოპოზიციის რომელიმე ლიდერი, რომელიც პროკურატურაში არ არის გამოძახებული?“

## „რატომ თანამშრომლობს წულუკიანი კრიმინალებთან, რატომ ლობირებს შოთაძეს?!“



გვ.3

დიმიტრი ბიძინაშვილი: „ძველი, 90-იანი წლები დაბრუნდა“

## რამაზ საყვარელიძე: „ივანიშვილის პრემიერად დაბრუნება ჩემთვის გაუგებარი იქნება“

„ოპოზიცია ხელისუფლების შესაცვლელად არ იბრძვის“



გვ.3

## ნინო ლომჯარია: „ციხეში მაყურებლები საკნებში თავისუფლად გადაადგილდებიან, აგროვებენ ფულს...“

თეა წულუკიანი: „ლომჯარიაზე იმდენად ავღელდი, რომ დეესკალაციის ოთახში 24 საათით მოთავსება მჭირდება“

გვ.5



გვ.4

## ლევან ალაფიშვილი: „წულუკიანმა კანონი დაარღვია და ომბუდსმენის საქმიანობაზე გავლენის მოხდენას ცდილობს“

„გუშინდელმა დღემაც აჩვენა, რომ ჩვენთან საპარლამენტო რესპუბლიკა მხოლოდ ქაღალდზეა დარჩენილი“



გვ.4

## „ივანიშვილს მომავალ პარლამენტში თავმჯდომარედ დავით უსუფაშვილი უნდა“

მირიან მირიანაშვილი: „სააკაშვილთან აფილირებული ჯგუფები, რუსების დავალებით, მასზე თავდასხმებს გააძლიერებენ“

## გრიგოლ ლილუაშვილი ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების თანათავმჯდომარეს შეხვდა



გვ.3

ISSN 1987-9385

5 ბიძინა ჩაჩხიანს ბრალი დაუმძიმდა

2 აზარტული თამაშების წინააღმდეგ პეტიციას უკვე 10.000 ხელმომწერი ჰყავს

5 რუსთავში ბუნებრივი აირით ინტოქსიკაციით მამა-შვილი დაიღუპა

6 ირანელი დეპუტატი: „ვინც ტრამპს მოკლავს, 3 მილიონი დოლარის ჯილდოს გადავცემთ“

# ბრიუსელში „ქართულ ოცნებას“ განკითხვის დღე მოუწყვეს


კახაბერ კუჭავა

გუშინ, 21 იანვარს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე კახაბერ კუჭავა ბრიუსელში ევროპარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის სხდომაზე მოხსენებით წარდგა.

მან ისაუბრა ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებზე და ხაზგასმით აღნიშნა, რომ პირველად, საქართველოს ისტორიაში, „ქართული ოცნების“ ხელისუფლების მიერ საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია, როგორც ქვეყნის საგარეო კურსი, გამყარებული იქნა მოქმედი კონსტიტუციის დონეზე.

პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ განაცხადა, რომ რუსეთი რჩება საქართველოსთვის მთავარ გამოწვევად და აღნიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლება განაგრძობს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების პოლიტიკას, რომელიც ემყარება დეოკუპაციისა და შერიგების კონკრეტულ ნაბიჯებს.

კახაბერ კუჭავამ ყურადღება გაამახვილა საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან საქართველოს დეოკუპაციისა და ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკის მხარდაჭერის მნიშვნელობაზე.

მისი თქმით, საქართველო არასდროს ყოფილა ევროკავშირთან ისე ახლოს, როგორც დღეს, ქვეყანას გააჩნია ამბიციური გეგმა და მოსახლეობის უმრავლესობის მკაფიო მხარდაჭერა კიდევ უფრო მეტ პროგრესს მიაღწიოს ევროპული ინტეგრაციის გზაზე, რისთვისაც უაღრესად მნიშვნელოვანია საქართველოს ევროპული პერსპექტივის არსებობა.

კახაბერ კუჭავამ ასევე მიმოიხილა დემოკრატიული რეფორმების გზით საქართველოს მიერ მიღწეული კონკრეტულ შედეგები და ევროპარლამენტარებს ინფორმაცია მიაწოდა ბოლო პერიოდში ქვეყნის შიგნით განვითარებულ მოვლენებზე.

ძირითადი აქცენტები გაკეთდა საკონსტიტუციო რეფორმაზე და მის ფარგლებში შემუშავებულ საარჩევნო სისტემების ცვლილებებზე.

საუბარი შეეხო ნოემბერში განვითარებულ მოვლენებს და სახელისუფლებო გუნდსა და ოპოზიციას შორის 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შესახებ მიმდინარე დიალოგს.

აღინიშნა სასამართლო რეფორმის მეოთხე ტალღის წარმატებით განხორციელება, რომელიც დადებითად იქნა შეფასებული საერთაშორისო პარტნიორებისა და ორგანიზაციების მიერ.

მოხსენების ბოლო ნაწილი ეხებოდა საქართველოში ადამიანის უფლებების კუთხით განხორციელებულ რეფორმებსა და მიღწეულ შედეგებს.

კახაბერ კუჭავას მოხსენებაში ხაზგასმით იქნა აღნიშნული, ევროპარლამენტარების მხარდაჭერისა და ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესების შესახებ განცხადებების მნიშვნელობა, რომლებიც უაღრესად მნიშვნელოვანია ეყრდნობოდეს ობიექტურ ინფორმაციასა და უტყუარ ფაქტებს.

პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილესთან ერთად, ევროპარლამენტარებს მიმართა საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში, ქეთევან ციხელაშვილმა და ვრცლად ისაუბრა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ მძიმე ვითარებაზე, ჰუმანიტარულ კრიზისსა და ბორდერიზაციის უკანონო პროცესზე.

* * *

კახაბერ კუჭავას გამოსვლას ევროპარლამენტარების კრიტიკული შეფასებები მოჰყვა.

— თქვენი პარტიის ლიდერები დამპირდნენ, რომ საარჩევნო სისტემაში პროპორციული ელემენტები იქნებოდა, ასე რომ, გადაეცით ჩემი სურვილი — მე კვლავ ველოდები, როდის დადგება ეს შედეგი, რადგან ამ შედეგის გარეშე თქვენი არჩევნების მიმართ საერთაშორისო ნდობა ძალიან ლიმიტირებული იქნება, — განაცხადა ევროპარლამენტის წევრმა ანდრიუს კუბილიუსმა.

— შეგიძლიათ, მითხრათ, არის საქართველოში ოპოზიციის რომელიმე ლიდერი, რომელიც პროკურატურაში არაა გამოძახებული? — იკითხა მან.

იგივე პათოსი ჰქონდა ევროპარლამენტარ რასა იუნკიავიჩენეს გამოსვლას.

— ვწუხვარ, ამას რომ ვამბობ, მაგრამ ჩემთვის ცუდი მოსასმენია, როცა მმართველი პარტიის წარმომადგენელი საუბრობს, ან ჩივის ცუდი ოპოზიციის შესახებ, ეს არ არის დემოკრატიის წესები, — განაცხადა მან.

მისი აზრით, ეს წელი საქართველოსთვის იქნება დემოკრატიის ტესტი.

— ჩვენ ყურადღებით გაკვირდებით. თქვენ გყავთ ბევრი ევროპელი მეგობარი ევროპარლამენტში, არა ერთი, ან მეორე პოლიტიკური პარტიის მეგობრები, არამედ საქართველოს მეგობრები. ჩვენი შეშფოთება კვლავ ეხება იმას, ჩააბარებს თუ არა მმართველი პარტია დემოკრატიის გამოცდას.

როცა ჩვენ ვხედავთ თავდასხმას ოპოზიციაზე, არასამთავრობოებზე, მედიაზე, მოწინააღმდეგეებზე, ეს თქვენ, საქართველოს, არ დაგეხმარებათ ახალი მეგობრების პოვნაში ევროპარლამენტში. ვერ დაარწმუნებთ მეტ ხალხს, რომ მხარი დაგიჭირონ, — განაცხადა ევროპარლამენტარმა.

მარია გრიგოროვამ კახა კუჭავას ასეთი კითხვა დაუსვა:

— როდესაც თქვენ საუბრობთ, რომ საქართველო ისე ახლოსაა ევროპასთან და ევროკავშირთან, როგორც არასდროს, ფიქრობთ, რომ ქვეყანაში არსებული პოლიტიკური პატიმრები გეთანხმებიან ამაში?

მისი კიდევ ერთი შენიშვნა საქართველოს პარლამენტის ბლოკირებას ეხებოდა.

— იმედი მაქვს, რომ ჩემს კითხვასა და მოსაზრებას ობიექტურად შეაფასებთ იმიტომ, რომ მე იქ ვიყავი და ვესაუბრე პროსახელისუფლებო, არასამთავრობო მხარეს და პროტესტის მონაწილეებსაც პირადად და მე არ მაქვს ინფორმაცია მათ მიერ პარლამენტის ბლოკირებასთან დაკავშირებით.

პარლამენტმა თვითონ დაბლოკა პარლამენტი თავისი სამარცხვინო „თბილისის კედლით“, თუმცა ეს მხოლოდ შენიშვნაა, — განაცხადა მან.

მარკ გალერი პროპორციულის სისტემის ჩავარდნის საკითხს შეეხო.

— გულახდილად თქვით, ამბობდა თუ არა ბატონი ივანიშვილი, შეცვალეთ საარჩევნო სისტემა, თუმცა კულისებს მიღმა მისი ჩაშლის გეგმებს აწყობდა? თუ რეალურად ევროპელები ხართ, აღიარეთ, — ამ სიტყვებით მიმართა მან ქეთევან ციხელაშვილსა და კახა კუჭავას.

მან ხაზი გაუსვა, რომ საქართველოს ევროპული ინტეგრაციისადმი ყოველთვის ურყევი მხარდაჭერა იქნება.

— მაგრამ ვფიქრობ, ეს მხარდაჭერა თქვენს ვალდებულებების შესრულებასთან ერთად უნდა ხდებოდეს. მე ვფიქრობ, დღეს ცდილობთ შემოგვასაღოთ საარჩევნო სისტემის ჩავარდნა, როგორც შიდაპარტიული დემოკრატიის მაღალი დონე „ქართულ ოცნებაში“. რამდენიმე წევრმა „ქართული ოცნება“ დატოვა. გულახდილად თქვით, არ იყო ისე, რომ ბატონი ივანიშვილი ამბობდა, მოდით შეცვალეთ, მაგრამ სინამდვილეში, კულისებს მიღმა აწყობდა მისი ჩავარდნის სცენარს? თუ თქვენ რეალურად ევროპელები ხართ, აღიარეთ ეს, — განაცხადა მარკ გალერიმ.

— კარგი იქნებოდა, გვცოდნოდა საქართველოში პატიმრების და დაკავებების საერთო რიცხვი ყველა ამ საპროტესტო აქციის შემდეგ. ვფიქრობ, რაც უფრო მეტი პატიმარი იქნება, რუსეთი მით უფრო მტკიცე გახდება.

ეს განცხადება ევროპარლამენტის წევრმა ანა ფოტიგამ გააკეთა.

— მე ვფიქრობ, რომ ქართველი საზოგადოება საკმაოდ ფხიზლადაა და კარგად ესმის სიტუაცია. ასე რომ, მოსკოვის იდეოლოგიის მიმდევრებს საშუალება მიეცათ, საქართველოს პარლამენტში ესაუბრათ, რამაც გამოიწვია დიდი პროტესტი და რისხვა.

ამას გარდა, ვფიქრობ, რაც უფრო მეტი პატიმარი იქნება, რუსეთი მით უფრო მტკიცე



### ანდრიუს კუბილიუსი: „არის საქართველოში ოპოზიციის რომელიმე ლიდერი, რომელიც პროკურატურაში არ არის გამოძახებული?“

გახდება, ამიტომ მინდა მოვისმინო, როგორია სიტუაციის დეესკალაციის თქვენი სცენარი. სხვათა შორის, კარგი იქნებოდა, გვცოდნოდა პატიმრების და დაკავებების საერთო რიცხვი ყველა ამ საპროტესტო აქციის შემდეგ, — აღნიშნა ფოტიგამ.

* * *

ევროპარლამენტარების კრიტიკული შეფასებების პასუხად კახა კუჭავამ განაცხადა, რომ ევროპარლამენტარები გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით შეცდომაში არიან შეყვანილი.

— ზოგი წამოწეული საკითხი ცხადყოფს, რომ თქვენ შეცდომაში ხართ შეყვანილი, უპირველეს ყოვლისა მინდა აღვნიშნო, რომ პროპორციულ საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით ოპოზიციას ჩვენი გეგმა შევთავაზეთ, მოლაპარაკებები მიმდინარეობს, ჩვენ ოპოზიციის პასუხს ველით. შეთანხმება ნიშნავს, რომ ორივე მხარე რაღაცაზე უნდა შეჯერდეს. ჩვენ შევთავაზეთ,



### მარკ გალერი: „აღიარეთ, რომ ივანიშვილი პროპორციული სისტემის ჩავარდნის სცენარს აწყობდა“

შერეული სისტემით ჩატარებულიყო არჩევნები. აუცილებელია მოვლენების განვითარებასაც მივადევნოთ თვალი, — განაცხადა კახა კუჭავამ.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის ქეთევან ციხელაშვილის თქმით, ნებისმიერი გამოწვევის მიუხედავად, დემოკრატიული განვითარება საქართველოს ხელისუფლების უდიდესი მიზანია:

— საქართველო მიდრეკილია დემოკრატიისკენ, საქართველოს მთავრობას სურს დემოკრატია, გარემო ზოგადად არის დემოკრატიული, თავისუფალი მედია და გამოხატვის თავისუფლება გარანტირებულია და რაც არ უნდა მოხდეს, ყველაფერი ხდება კანონის სრული დაცვით.

დემოკრატიული რეფორმები ჩვენთან დღის წესრიგშია და ნებისმიერი გამოწვევის მიუხედავად დემოკრატიული განვითარება ჩვენი უდიდესი მიზანია. თავისუფლებისთვის ჩვენ ყოველდღიურად ვიბრძვით და ამ ბრძოლაში თქვენი იმედი გვაქვს, — განაცხადა ქეთევან ციხელაშვილმა.

* * *

მმართველი გუნდის ყოფილი წევრი და ყოფილი ვიცესპიკერი თამარ ჩუგოშვილი ევროპარლამენტარების მხრიდან გამოთქმულ კრიტიკას გამოეხმაურა.

მისი თქმით, ქვეყანაში ბოლო პერიოდში განვითარებულ პროცესებს პარტნიორების მხრიდან შესაბამისი მძიმე და მწვავე შეფასებები მოჰყვა, საქართველოს ხელისუფლება კი ამ წუხილების შესასუსტებლად არაფერს აკეთებს, რაც ქვეყნისთვის საკმაოდ დამაზიანებელია:

— დისკუსიას გავყოფდი 2 ნაწილად. ერთი, რაც შეეხებოდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის თემას, სადაც, რა თქმა უნდა, ყველას მხრიდან იყო მხარდამჭერი განცხადებები გაკეთებული და ეს ასეც უნდა ყოფილიყო.

მეორე ნაწილი, რომელიც შეეხება ჩვენი ქვეყნის შიდა პოლიტიკას და იმ პროცესებს, რომელიც ქვეყანაში მიმდინარეობს ბოლო პერიოდში, რაზეც, რა თქმა უნდა, როგორც მოსალოდნელი იყო საკმაოდ მწვავე, მძიმე კომენტარები და შეფასებები გაჟღერდა.

ჩვენი პარტნიორები განაგრძობენ სხვადასხვა ფორმატში სხვადასხვა გზით ამ წუხილების გამოთქმას და ჩვენ არაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რაც ამ წუხილებს შეასუსტებს, მე ეს მგონია საკმაოდ დამაზიანებელი, — განაცხადა ჩუგოშვილმა.

## ვახტანგ რობაქიძეს მუცლის ღრუს კვლევა ჩაუტარდა

### პასუხი 2 დღეში გახდება ცნობილი



პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის, ანრი ოხანაშვილის, მიმართ მუქარის ბრალდებით დაკავებულ ვახტანგ რობაქიძეს მუცლის ღრუს კვლევა უკვე ჩაუტარდა.

პასუხი 2 დღეში გახდება ცნობილი.

რობაქიძე სამართალდამცველებს ფიზიკური შეურაცხყოფაში ადანაშაულებს. მისი თქმით, პოლიციელებმა მუცელში დაარტყეს.

— საბოლოო გამოკვლევის შედეგები ჯერ არ გვაქვს და დასჭირდება 2 დღე. მხოლოდ ამის შემდგომ გვექნება დასკვნა, თუ რა მდგომარეობა აქვს პაციენტს. სამწუხაროდ, ამ ეტაპზე მეტს ვერაფერს ვერ მოგახსენებთ, მით უმეტეს, პაციენტი არ არის თანახმა, მის ჯანმრთელობაზე დეტალური ინფორმაცია გაჟღერდეს, — განაცხადა ექიმმა ბადრი ქობალავამ.

— სხვადასხვა გამოკვლევა ჩამიტარდა. ზეგ მექნება მთლიანი სურათი და შემეძლება, ამომწურავი პასუხი გაგცეთ, — აღნიშნა თავად რობაქიძემ.

დადგება თუ არა სამართალდამცველების პასუხისმგებლობის საკითხი, მას შემდეგ გაირკვევა, რაც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური გამოძიებას დაასრულებს.

რობაქიძემ ლონდა თოლორაიას უწყებას ინფორმაცია უკვე მიაწოდა.

ვახტანგ რობაქიძეს ახალციხის რაიონულმა სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით 7.000-ლარიანი გირაო შეუფარდა.

## აზარტული თამაშების წინააღმდეგ პეტიციას უკვე 10.000 ხელმომწერი ჰყავს



აზარტული თამაშების წინააღმდეგ ინიციატივამ მცირე პერიოდში 10.000 ხელმოწერა შეაგროვა.

ინიციატივის ავტორი კამპანიის „გავერთიანდეთ და ავიმაღლოთ ხმა აზარტული თამაშების წინააღმდეგ“ ხელმძღვანელი ანა დოლიძეა.

მისი განმარტებით, ხელმოწერების საფუძველზე მოდერატორს საკითხის განსახილველად პეტიციის განმხილველი კომისიის სხდომა უნდა ჩაენიშნა.

ინფორმაციის მისაღებად ანა დოლიძემ სახელმწიფო მთავრობის ადმინისტრაციას ოფიციალური წერილით მიმართა.

— ხელისუფლების მხრიდან სადღეგრძელოების დონეზე არის საუბარი აზარტული თამაშების რეკლამასთან მიმართებით, თუმცა ქმედითი ნაბიჯები დღესდღეობით ჩვენ არ გვინახავს.

ეს იმ ფონზე, როდესაც უამრავი ადამიანის ჯანმრთელობა და მომავალი ეწირება ამ დაავადებას. ჩვენ დღეს მოვედით იმისათვის, რომ რეალურად დავსვათ კითხვა — აპირებს თუ არა 10.000 ადამიანის მოთხოვნაზე საქართველოს მთავრობა პასუხის გაცემას, — განაცხადა ანა დოლიძემ.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „რატომ თანამშრომლობს წულუკიანი კრიმინალებთან, რატომ ლობირებს შოთაძეს?!“

## დიმიტრი ბიძინაშვილი: „ძველი, 90-იანი წლები დაბრუნდა“

ნონა ცაბაძე



„ახალი თაობის“ კითხვებს სამოქალაქო აქტივისტი **დიმიტრი ბიძინაშვილი** პასუხობს.

***– დიმიტრი, 21 იანვარს ხმაური იყო პარლამენტის წინ. „სირცხვილიას“ წევრებს პარლამენტში იუსტიციის მინისტრისა და სახალხო დამცველის მოსმენა გსურდათ, მათთვის კითხვების დასმა, მაგრამ არ შეგიშვეს.***

– მისული ვიყავით პარლამენტში, საშვებიც დაშვებული იყო, მათ შორის ჟურნალისტებსაც დაუდასტურეს საშვთა ბიუროში, რომ საშვები დაშვებული იყო, მაგრამ, უბრალოდ, არ შეგვიშვეს და არ მოგვცეს საშუალება, დაგვესვა თეა წულუკიანისთვის ის კითხვები, რომლებიც საზოგადოებას აინტერესებს.

***– მიზეზი რა გითხრეს, რატომ არ შეგიშვეს?***

– არანაირი მიზეზი არ უთქვამთ, უბრალოდ, არ შეგვიშვეს. არანაირი განმარტება არ გაუკეთებიათ, არ გიშვებთ და მორჩაო. იმის მიუხედავად, რომ საშვიც იყო დაშვებული, მაინც არ შეგვიშვეს. ჩვენ კითხვები გვქონდა თეა წულუკიანთან.

***– რა კითხვების დასმას აპირებდით?***

– თუნდაც იმის, თუ რატომ თანამშრომლობს წულუკიანი კრიმინალებთან, რატომ ლობირებს შოთაძეს, რომელთანაც უამრავი კითხვის ნიშანი არსებობს, რატომ უჭერდა მხარს მაჟორიტარული სისტემით არჩევნების ჩატარებას, მაშინ როდესაც ადამიანების უმეტესი ნაწილი ითხოვდა პროპორციულ არჩევნებს.

ასევე გვინდოდა გვეკითხა, ამდენი ხნის განმავლობაში, მინისტრი რომაა, რა შეცვალა, რა გააკეთა, რა გააუმჯობესა?! ასევე გვინდოდა კითხვების დასმა ციხეში არსებულ ვითარებაზე, სასიკვდილოდ იყო ადამიანი ნაცემი. შემდეგ გაავრცელეს ინფორმაცია, რომ თვითდაზიანება მიიყენა ამ ადამიანმა, თუმცა ვიდეოში ეს ნამდვილად არ ჩანდა. ამ კადრებში, პირიქით, ის ჩანს, რომ ნაცემია ადამიანი.

***– ამ ყველაფერს უარყოფს თეა წულუკიანი, აცხადებს, რომ მსგავსიც კი არაფერი ხდება.***

– ფაქტი არის ის, რომ ციხეებში შეცვლილია ვითარება. კრიმინალური ავტორიტეტები არიან დღეს იქ და ისინი განაგებენ ვითარებას. ე.წ. ობშიაკის აკრეფაც დაწყებულია და თქვენს მკითხველსაც ეცოდინება ეს, რადგან ციხეებიდან უკვე ირეკება და ადამიანებს სთხოვენ თანხის შეგროვებასა და ციხეში შეგზავნას ე.წ. ობშიაკისთვის.

ეს კი ნიშნავს იმას, რომ ჩვეულებრივად დაბრუნდა ძველი 90-იანები, სადაც არა სამართალდამცავები და სისტემა არეგულირებენ ვითარებას ციხეებში, არამედ არეგულირებენ ადამიანები, რომლებიც არიან ავტორიტეტები და ქურდული სამყაროს წარმომადგენლები.

„ქართული ოცნება“ თანამშრომლობს ამ ადამიანებთან, რადგან შემდგომ არჩევნებზე სჭირდებათ ხოლმე მათი დახმარება.

***– სოფო კილაძემ განაცხადა, ნაციონალებს საერთოდ ხმა როგორ ამოეღებათ, მათ დროს ზეცას სწვდებოდა ნაწამები პატიმრების ხმაო.***

– 26 ათას გაუპატიურებულ პატიმარზე სანამ დაიწყებენ ეს ადამიანები საუბარს, თავად ამ ვიდეოების გამავრცელებლებმა თქვეს, პატრიოტთა ალიანსის წევრებმა, ჩვენ რომ არ დაგვედგა ეს ვიდეოები, ისინი ვერც მოვიდოდნენ ხელისუფლებაშიო.

აქედან გამომდინარე, „ოცნების“ მხრიდან ცოტა უხერხულია ამაზე ლაპარაკი. მათ ურჩევნიათ, დღევანდელ სიტუაციას მიხედონ, იმას, რაც პენიტენციარულ სისტემაში ხდება. მათ ქურდული სამყაროს წარმომადგენლები საარჩევნოდ სჭირდებათ ხოლმე, ვნახულობთ კიდეც მათ საარჩევნო უბნებზე, თუ როგორ ატარებენ ერთად გაყალბების სპეცოპერაციას, რომ „ქართულმა ოცნებამ“ რაც შეიძლება მეტი ხმა აიღოს. ამისთვის ყველაფერს აკეთებენ ამ ხელისუფლების წევრები.

***– რის თქმა გინდათ, რომ ოფიციალურად შეეკრა „ქართული ოცნება“ ქურდულ სამყაროს?***

– რა თქმა უნდა, ასეა. ისინი ოფიციალურად არიან შეკრული ქურდულ სამყაროსთან. ეს ახალი არ არის, უკვე ძველი თემაა.

იმ შეწყალებებმა, რომლებიც იყო ბოლო პერიოდში, დიდი აღელვება გამოიწვია საზოგადოებაში. იქ პოლიციის მკვლელი შეიწყალეს, მოზარდის მკვლელი შეიწყალეს, ყაჩაღი შეიწყალეს, ძებნილი. სწორედ ეს ხალხია, შემდგომ რომ ეხმარება ხოლმე „ოცნებას“ არჩევნებზე.

რა, არ გვაქვს ჩანაწერი მოსმენილი, კახი კალაძე რომ ყვება, რომ 120 ქურდს შეხვდა და ჩაეხუტნენ ერთმანეთს და წარმატება უსურვეს?! ანუ ეს არ გვაქვს მოსმენილი?! გვაქვს! პირდაპირ შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ქართული ოცნება“ დღეს თანამშრომლობს კრიმინალურ სამყაროსთან, ქურდულ სამყაროსთან, რადგან ხშირად სჭირდება მათი დახმარება არჩევნებზე.

სწორედ ამის გამოა, რომ კრიმინალმა მოიმატა, დაუსჯელობის განცდა გაჩნდა არა მხოლოდ საზოგადოებაში, არამედ პოლიციელებშიც. პოლიციელი მოკლა, დამნაშავე ორ წელიწადში გამოუშვეს, მეორე პოლიციელს ყელი გამოსჭრეს. რომელი ერთი შემთხვევა ჩამოვთვალო?!

***– ოპოზიციონერი დეპუტატები აცხადებენ, იმდენად მძიმე იყო სახალხო დამცველის მოხსენება, ნებისმიერი თავმოყვარე მინისტრი გადადგებოდაო. თუმცა ეს ყველაფერი თეა წულუკიანს არ აღელვებს.***

– სხვა რაზე ჰქონია სწორი რეაგირება „ოცნების“ ხელისუფლებას, ამაზე რომ ჰქონდეს?! ჩვენი დასავლელი პარტნიორებიც გვეუბნებიან, თუ როგორი უნდა იყოს დემოკრატიული ნაბიჯები, როგორ უნდა განვითარდეს ქვეყანა, ამაში მაქსიმალურად გვიწყობენ ხელს, თუმცა ეს ხელისუფლება ამერიკელ სენატორებს მკაცრი ტონის წერილების გაგზავნით ემუქრება.

ამ ადამიანების რჩევებს არ ითვალისწინებს და არც ის გამიკვირდება, თეა წულუკიანი თუ გაიცინებს სახალხო დამცველის ასეთ კრიტიკულ დასკვნაზე. „ქართული ოცნების“ ერთადერთი მთავარი ამოცანაა, რომ რაც შეიძლება მეტი ფული იშოვოს, მოსახლეობა კი დაამშიოს, გაალატაკოს, ასევე ქვეყანა რუსულ რელსებზე გადაიყვანოს.

აი, ეს არის მათი მთავარი ამოცანა, რასაც ჯერჯერობით წარმატებით ახორციელებს.

***– როდესაც ციხეებში ცუდი ვითარებაა, შემდეგ ეს სიტუაცია ქუჩებშიც ინაცვლებს. ელოდებით სიტუაციის გაუარესებას?***

– ზუსტად ასეა, ციხეებში არსებული ვითარება შემდგომ გადმოდის ქუჩებში. ხალხს ღამლამობით გარეთ გასვლა უკვე ეშინია, ქუჩებშიც კრიმინალი მძვინვარებს. ჩვენს ქვეყანაში კრიმინალური სამყარო ბობოქრობს. ეს კი იმის დამსახურებაა, რომ ჩვენი ხელისუფლება არათუ არ ებრძვის კრიმინალს, არამედ თანამშრომლობს.

კრიმინალი რომ აყვავდებოდა, ბიძინა ივანიშვილი ამას ჯერ კიდევ 2012-2013 წლებში გვეუბნებოდა, მაგრამ გაგებით უნდა მოვკიდებოდით. მგონი, აღარ არის იმის დრო, რომ გაგებით მოვეკიდოთ ბიძინა ივანიშვილსა და მის გადაწყვეტილებებს, თუ როგორ დალუპოს ეს ქვეყანა და როგორ გადაჩეხოს უფსკრულში.

– როდიდან განახლდება აქციები და რა გეგმები გაქვთ?

– ოპოზიციამ უკვე დააანონსა პიკეტირებები. რაც შეგვეხება ჩვენ, არც გავჩერებულვართ, არც ახალი წლის დღეებში. ძალიან ძნელი იყო, სახლში ახალი წელი გვეზეიმა და გვექეიფა, მაშინ როცა შვილმოკლულ მამას კარავი დაურბიეს და აუშალეს.



ჩვენ არ გავჩერებულვართ და არც ვაპირებთ გაჩერებას, სანამ ბიძინა ივანიშვილი არ წავა ამ ქვეყნიდან, სანამ არ ექნება ამ ქვეყანას იმის შანსი, რომ გადარჩეს და სწორ რელსებზე დადგეს. მათ შორის შევუერთდებით ოპოზიციის მიერ დაანონსებულ პიკეტირებებსაც და ვიქნებით ყველგან, სადაც იქნება სიმართლისთვის ბრძოლა და სადაც იქნება ბრძოლა ივანიშვილის წინააღმდეგ.

***– თეა წულუკიანი „ოცნების“ მოსვლის დღიდან უცვლელი მინისტრია, თუმცა ახლა აქტიურად საუბრობენ მის შეცვლაზე.***

– ყველაფერი ისე იქნება, როგორც ბიძინა ივანიშვილი გადაწყვეტს. თეა წულუკიანს არც იმას არავინ ჰკითხავს, როდის მოხსნიან და არც იმას, თუ სად დანიშნავენ. როგორც ივანიშვილი მოისურვებს, ისე იქნება.

თეა წულუკიანმა რომ ვარსკვლავები ვერ მოწყვიტა, როგორც იუსტიციის მინისტრმა, ამას ყველა კარგად ხედავს. ადრე იუსტიციის სახლები საქართველოს სავიზიტო ბარათი იყო, ახლა მთლიანად გააბანძეს – უამრავი პრობლემაა, რიგები, ქაოსი, აღარაფერი მუშაობს ნორმალურად ამათ ხელში.

ამდენი წლის განმავლობაში არანაირი ახალი სერვისი არ დამატებულა. ვერ წავიდნენ წინ, ვერ განვითარდნენ, პირიქით, ყველაფერი ჩამოშალეს და გააბანძეს.

# გრიგოლ ლილუაშვილი ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების თანათავმჯდომარეს შეხვდა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი გრიგოლ ლილუაშვილი სამხრეთ კავკასიასა და საქართველოში კრიზისის საკითხებში ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელსა და ჟენევის საერთაშირისო დისკუსიების თანათავმჯდომარე ტოივო კლაარს შეხვდა.

შეხვედრას ესწრებოდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე ალექსანდრე ხოჯევანიშვილი, საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის დირექტორი გიორგი საბედაშვილი და მისი მოადგილე ირაკლი ანთაძე.



მხარეებმა განიხილეს ოკუპირებულ ტერიტორიებსა და საოკუპაციო ხაზის გასწვრივ შექმნილი ვითარება და იმსჯელეს უსაფრთხოების სფეროში არსებულ გამოწვევებზე.

ყურადღება გამახვილდა ევროკავშირის, როგორც ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების თანათავმჯდომარის როლზე, ხაზგასმით აღინიშნა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ოკუპირებულ ტერიტორიებზე შეუზღუდავი წვდომის მნიშვნელობა.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მოლაპარაკებების არსებული ფორმატების, კერძოდ, ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებისა და ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის პოტენციალის ეფექტიანად გამოყენებისა და გაძლიერების აუცილებლობას.

# რამაზ საყვარელიძე: „ივანიშვილის პრემიერად დაბრუნება ჩემთვის გაუგებარი იქნება“

## „ოპოზიცია ხელისუფლების შესაცვლელად არ იბრძვის“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო რამაზ, ოპოზიცია 4 თებერვლიდან ქუჩის აქციებსა და პარლამენტის შენობის პიკეტირების განახლებას აანონსებს. როგორც ჩანს, არც ოპოზიცია აპირებს დათმობას და არც ხელისუფლება. როგორ შეიძლება, მოვლენები განვითარდეს?***

– ოპოზიციის ეს ტაქტიკა გათვლილი უფრო საკუთარ მომხრეებზეა, ვიდრე ზოგადად ფართო მასების, ხალხის მიზიდვაზე. ხალხი არ



ემატება ამ აქციებს, პირიქით, კლებისკენაა. ოპოზიციის ამ სტრატეგიაში ლოგიკა არის. რადიკალიზმის დაკარგვით შეიძლება მათ თავიანთი ამომრჩეველიც დაკარგონ. ამიტომ ისინი სწორად იქცევიან, თავიანთი ამომრჩევლის დაკვეთას ასრულებენ.

ხომ იცით, ორი კურდღლის მადევარს რაც ემართება?! ამ ტაქტიკით ოპოზიცია აპირებს ერთგული ამომრჩევლის შენარჩუნებასა და იმ პროცენტის მიღებას, რომელსაც აქამდე იღებდა.

***– ოპოზიციას ხელისუფლებაში უნდა მოსვლა.***

– ნათქვამია, ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო! ოპოზიციის დღევანდელი სტრატეგია ხელისუფლების დამარცხების სტრატეგიას არ აკმაყოფილებს. ოპოზიცია არ ზრუნავს ამომრჩევლის გაფართოებაზე, ამომრჩევლის გაზრდაზე, თუმცა საკუთარი ამომრჩევლის შენარჩუნებაზე ნამდვილად მუშაობს.

***– თქვენ რით ხსნით, ხალხი რომ თავის პროტესტს არ გამოხატავს, ქუჩაში რომ არ გამოდის? ისიც ხომ ფაქტია, რომ ხელისუფლებით არ არის კმაყოფილი.***

– მეტი როგორ დააფიქსიროს, არჩევნებზე არ მიდის. ამომრჩეველს პროტესტი აქვს მთლიანად პოლიტიკური სპექტრის მიმართ, ოპოზიციისა და ხელისუფლების მიმართ. ამ ქვეყნის ამომრჩევლის უმრავლესობას არც ერთი მოსწონს და არც მეორე. ეს ჩანს კვლევებით. ხომ არ გამოვლენ მოთხოვნით, საერთოდ პოლიტიკური პარტიები გააუქმეთო!

რესტორანში თუ ცუდ კერძებს მოგართმევენ, მშიერი დარჩები, არაფერს შეჭამ, მაგრამ რესტორანს ხომ ვერ გააუქმებთ!

***– ამომრჩეველი აპათიაშია?***

– რა თქმა უნდა! დიახ, ნიჰილისტური განწყობებია ქვეყანაში და ეს ძალიან ცუდია საერთოდ ქვეყნის პერსპექტივისთვის. მაგრამ ამაში მოსახლეობა არ არის დამნაშავე. ამ ფონზე მთავარი ოპოზიციური სპექტრი ამ ამომრჩევლისადმი თავმოწონების მიზნით ბოქლომებს ადებს პარლამენტს და იმ პრობლემებზე არაფერს ამბობს, რომლებიც ადამიანებს აწუხებს.

***– წინასაარჩევნოდ შეცვლის თავის ტაქტიკას „ქართული ოცნება“? შეიძლება, ამის ნაწილი იყოს სამთავრობო ცვლილებები, ბიძინა ივანიშვილის პრემიერად შესაძლო დაბრუნება?***

– ამ ფონზე, როდესაც წამყვანი ოპოზიცია არ იბრძვის ხელისუფლების შესაცვლელად და მხოლოდ საკუთარი ამომრჩევლის შენარჩუნება გაუხდია მიზნად, რატომ უნდა აიტკიოს აუტკივარი თავი ხელისუფლებამ?!

სიმართლე გითხრათ, ჩემთვის სრულიად გაუგებარი იქნება ივანიშვილის პრემიერად დაბრუნება. ეს მას არაფერში სჭირდება.

არსებული რეალობით „ქართული ოცნება“ ხელისუფლებას ინარჩუნებს და მისი მიზანიც ხომ ეს არის – ძალაუფლების შენარჩუნება. ოპოზიცია არაფერს აკეთებს, რომ თავად მოვიდეს ხელისუფლებაში. ამიტომ არანაირ საფრთხეს ივანიშვილი ამ ოპოზიციაში ვერ ხედავს. ეს აშკარაა.

***– თორემ პროპორციულ არჩევნებს დათმობდა?***

– რა თქმა უნდა! მე თუ მკითხავთ, ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც – ორივეს აქვს შესაცვლელი ყველაფერი. ცვლილების ამოცანა გარდაუვლად დგას ამომრჩევლის თვალში. თუ ამ ამოცანებს ვერ უპასუხებს დღევანდელი პოლიტიკური სპექტრი, მაშინ თავად საზოგადოება იზრუნებს, რომ თავად წარმოშვას ახალი პოლიტიკური ჯგუფები.

ენერგიული, ბრძოლისუნარიანი და მისი ინტერესების გამომხატველი პოლიტიკური ძალები თავად საზოგადოებამ უნდა წარმოშვას. ამ შემთხვევაში ლოდინი შეიძლება უმადური საქმე იყოს, რადგან შეიძლება, ბაზალეთის ტბიდან მხოლოდ ყრმის ამოყვანას ელოდოს ადამიანი, მაგრამ მთელი პარტიის ამოყვანა ცოტა ძნელი იქნება.




**შევიძენ**

**ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.**

**ტელ: 598-43-98-57**

# ლევან ალაფიშვილი: „წულუკიანმა კანონი დაარღვია და ომბუდსმენის საქმიანობაზე გავლენის მოხდენას ცდილობს“

## „გუშინდელმა დღემაც აჩვენა, რომ ჩვენთან საპარლამენტო რესპუბლიკა მხოლოდ ქაღალდზეა დარჩენილი“

იაგო ნაცვლიშვილი



იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის პარლამენტში გაკეთებული განცხადებები და მისი დებატები სახალხო დამცველ ნინო ლომჯარიასთან დიდი განხილვის საგანი გახდა. წულუკიანმა ომბუდსმენს ფაქტობრივად უკარნახა, რა და როგორ უნდა გააკეთოს. ამასთან წულუკიანმა გაავრცელა კადრები, რომელიც სასჯელაღსრულების დაწესებულებაშია გადაღებული, სადაც ჩანს, რომ სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის წარმომადგენელი პატიმართან არის შესული და ის ჯერ პატიმრის მოდუღებულ ყავას სვამს, მერე კი მის სიგარეტს ეწევა. სწორედ ეს ქმედება ხდება დიდი განხილვის საგანი. არასამთავრობოები წულუკიანს კანონის დარღვევაში სდებენ ბრალს.

არის თუ არა კანონდარღვევა წულუკიანის ქმედებებში და რამდენად ადეკვატური იყო პარლამენტი? — ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში იურისტი **ლევან ალაფიშვილი** საუბრობს:

***— ვნახეთ თეა წულუკიანის და ნინო ლომჯარიას პაექრობა პარლამენტში. წულუკიანმა ლომჯარია იმის გამოც კი გააკრიტიკა, რომ გასულ წელს მხოლოდ დეკანოზ გიორგი მამალაძის მოსანახულებლად დადიოდი და სულ ოთხჯერ იყავიო, შეიძლება ითქვას, რომ წულუკიანმა ომბუდსმენს საქმეები გაურჩია. რა შთაბეჭდილება დაგრჩათ თქვენ?***

— ეს დღე ჩემთვის იყო საუკეთესო საზომი იმის შესაფასებლად თუ რა დღეში ვართ და რა მდგომარეობაშია ჩვენი შიდა დემოკრატია. ნახეთ რატომ? ეს ყველაფერი ხდებოდა უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოში, პარლამენტში. ანუ, ჩვენს ორგანოში ხდებოდა. მეორე საკითხია ის, რომ სახალხო დამცველი არის პარლამენტის სპეციალური და პროფესიონალური კონსტიტუციური მექანიზმი მისდამი ანგარიშვალდებული ყველა ორგანოს თუ თანამდებობის პირის — სახელმწიფო მმართველობის საკონტროლებლად.

მთავრობა და იუსტიციის სამინისტრო, ისევე, როგორც მთლიანად სასჯელაღსრულების სისტემა, როგორც სამინისტროს შემადგენელი ნაწილი არის პარლამენტისადმი ანგარიშვალდებული ორგანო. შესაბამისად, თუკი დემოკრატიის ფუნდამენტს — პარლამენტის წინაშე ვალდებულებას მივიღებთ სახელმძღვანელოდ, ვნახავთ, რომ ხდება, ჩემი აზრით, კანონდარღვევა. განსაკუთრებით, როცა ეწყობა კინოჩვენება, პარლამენტმა კი ამაზე რეაგირება საერთოდ არ მოახდინა. მინისტრს მცირე მინიშნებაც კი არ გაუკეთა, რომ ის იმყოფებოდა მის მაკონტროლებელ ორგანოში და ცოტა ეთიკურად, გნებავთ პოლიტიკურად სწორად უნდა შეერჩია ტერმინები. პირიქით, პარლამენტმა მას ამის საშუალება მისცა. ამდენი ხანია სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ ჩვენში საპარლამენტო რესპუბლიკა არ არსებობს, ის ქაღალდზეა დარჩენილი. რაღაცა ნაზავია საბჭოური გარდამავალი ქვეყნების.

***— ანუ იმაზე მიანიშნებთ, რომ ვიდეოების ჩვენება კანონის დარღვევა იყო?***

— სავარაუდოდ, იქ არის პერსონალური მონაცემების კანონმდებლობის დარღვევა, რადგან პერსონალური მონაცემების შეგროვება, მათ შორის ვიდეო თვალთვალი კი შეიძლება, მაგრამ მას აქვს თავისი მიზანი — საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ის მხოლოდ ჩაწერითა და შენახვით შემოიფარგლება. თუკი რაიმე სამართალდარღვევა იქნება ჩადენილი, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება სხვა პირთათვის, ამ შემთხვევაში გამომძიებლებისა და სასამართლოსთვის ამ ჩანაწერის გადაცემა.

ჩვენ რა ვნახეთ? პერსონალური მონაცემების შესახებ ვიდეო მასალა ამოიღო იუსტიციის მინისტრმა და გაასაჯაროვა. ტელევიზიები ატრიალებენ ამ ჩანაწერს.

***— რა გამოდის, იუსტიციის მინისტრმა თავად დაარღვია კანონი, რომელიც ერთ-ერთი პირველი უნდა იცავდეს კანონს?***

— დიახ. ალბათობის მაღალი ხარისხით ამ კადრების ჩვენებით პერსონალურ მონაცემთა კანონმდებლობა დაირღვა. კვლავ ვიმეორებ, მე არ ვამბობ, რომ არ აქვს სასჯელაღსრულების დაწესებულებას ჩანაწერების წარმოების უფლება. მათ არ აქვთ შეუზღუდავად ამ ჩანაწერების გასაჯაროების უფლება. მათ შორის პოლიტიკური თანამდებობის პირებსაც რომ გადასცეს, ამის უფლებაც არ აქვს. კანონი კრძალავს ამას.

ამის მიუხედავად, იმ კადრებში მონაწილე ორი პირისთვის არც კი უკითხავთ გასაჯაროებაზე თანხმობა. ესეც კანონის დარღვევაა. ამ დღეშია ჩვენი დემოკრატია, მეტსაც გეტყვით, ამ კადრების ჩვენება და ზოგადად რიტორიკა, რასაც ვისმენდით პარლამენტში, უფრო ჰგავს სახალხო დამცველზე ზემოქმედებას და მის საქმიანობაში ჩარევის მცდელობას აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან. ამ შემთხვევაში იუსტიციის სამინისტროს მხრიდან. ეს არის კანონით დასჯადი ქმედება, კონსტიტუციურად არის აკრძალული. სწორედ ამიტომ, ერთ კანონდარღვევაზეც და მეორეზეც — სახალხო დამცველის საქმიანობაში ჩარევაზე რეაგირებას ველი.

***— რეაგირებას ვისგან?***

— რეაგირებას ველი როგორც პოლიტიკურს, ამ შემთხვევაში პარლამენტისგან, ასევე სამართლებრივს. სამართლებრივი რეაგირება ორგვარი შეიძლება იყოს: საგამოძიებო კომისიის შექმნა, ან პოლიტიკური განცხადების გაკეთება. ასე ვთქვათ, აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის მისი ვალდებულებების შეხსენება. პოლიტიკური განცხადება ეს შეიძლება იყოს.

რაც შეეხება ზეგავლენას, სახალხო დამცველის ნებისმიერი წარმომადგენელი როდესაც შედის ციხეში და ასრულებს მის მოვალეობას, ის თანამშრომელი კი არ არის პერსონალურად, არამედ სახალხო დამცველია და ის საქმიანობს იქ. სამწუხაროდ, იუსტიციის მინისტრს კარგად არც ეს არ აქვს წარმოდგენილი. მოადგილე კი შემოდიოდა, მაგრამ შენ არ შემოდიოდიო, ასე უთხრა ლომჯარიას. არ აქვს წარმოდგენილი წულუკიანს, რომ ლომჯარიას თანამშრომლები სახალხო დამცველის ფუნქციებს ასრულებენ იქ.

თემას რომ დავუბრუნდეთ, მიუხედავად იმისა, რომ სახალხო დამცველის წარმომადგენელი საქმიანობს და მისი საქმიანობის შედეგები მისი თანხმობის გარეშე ხდება საჯარო უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოში და ამაზე არ რეაგირებს არც პარლამენტი და არც არავინ ამ ქვეყნად, ეს ერთადერთი რამით შეიძლება განპირობებული, სავარაუდოდ, მის საქმიანობაზე გავლენის მოხდენის საშუალება. ეს არის გზავნილი, რომ იცოდეთ, გიყურებთ და როცა გვინდა, ამ ჩანაწერებს მაშინ გამოგიქვეყნებთო. ეს უთხრა იუსტიციის მინისტრმა სახალხო დამცველს. ეს კი გავლენის გარდა სხვა არაფერია.

ჩვენ რომ პოლიტიკური კულტურა გვქონდეს, უპირველეს ყოვლისა კი, მათ პოლიტიკურ გუნდში რომ იყოს ჯეროვანი, ამაზე უმკაცრესი რეაგირება იქნებოდა. კვლავ ვიმეორებ, ჩემი აზრით, ეს არის ზუსტად გავლენის მოხდენის მცდელობა სახალხო დამცველზე და შესაბამისი პასუხისმგებლობაც უნდა მოჰყოლოდა ამ ყველაფერს. სამწუხაროდ, მადლობების და დითირამბების მიღმა არ წავიდა ჩვენი პოლიტიკური კულტურა, რაც წარმოაჩენს ჩვენი დემოკრატიის ხარისხს და იმ მდგომარეობას, რაშიც ვართ და რაც აღარ უნდა განმეორდეს.

რეალურად, თუკი პარლამენტმა არ შეასრულა თავისი უმთავრესი ფუნქცია მთავრობის კონტროლის თვალსაზრისით, სწორედ სახალხო დამცველის, აუდიტის სამსახურის ანგარიშის მეშვეობით ხდება კრიტიკის ობიექტი. ნაცვლად იმისა, რომ ეს ანგარიშები სამსჯელოდ გახადოს, ვხედავთ მთავრობის თვითნებობას კანონსა და პარლამენტზეც კი.

***— ხომ არ ვარაუდობთ, რომ ასეთი საკითხები მოხვდება საერთაშორისო ანგარიშებში?***

— ძალიან გამიკვირდება, რომ არ მოხვდეს. მით უმეტეს, როდესაც პარლამენტმა მსჯელობაზეც კი უარი თქვა. არაადეკვატურად მოისმინა. გვახსოვს, კომუნისტების დროს სკოლებსა და სხვა სასწავლებლებში ნიშნის მაგივრად უწერდნენ „მოისმინა“-ს. ამდაგვარი რაღაც გააკეთა, მოისმინა და მიიღო ცნობა. მიიღო რამე რეზოლუცია თუნდაც კომიტეტის დონეზე. გახდება მსჯელობის საგანი? მიიღებს პლენარულ სხდომაზე რამე გადაწყვეტილებას? აი ეს საკითხებია არსებითი.

***— საერთაშორისო დასკვნებისა თუ ომბუდსმენის ანგარიშების შესახებ რეალურად ეს „მოისმინას“ ფუნქცია ხომ არ აქვს?***

— სავარაუდოდ, ამას გააკეთებს. „მოისმინა“-ს გააკეთებს და ცნობად მიიღებს. რაც არაერთხელ ყოფილა.

# „ივანიშვილს მომავალ პარლამენტში თავმჯდომარედ დავით უსუფაშვილი უნდა“

## მირიან მირიანაშვილი: „სააკაშვილთან აფილირებული ჯგუფები, რუსების დავალებით, მასზე თავდასხმებს გააძლიერებენ“

მარიამ მჭედლიშვილი

რატომ ვერ გაცოცხლდება ვადამდელი არჩევნების თემა? რის გამო გადაიწია რუსეთის პოლიტტექნოლოგების ახალი სქემების ამოქმედებამ საქართველოში? რას აჯერებენ პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთ ლიდერ ირმა ინაშვილს, რომელიც აშშ-ის საელჩოსთან საპროტესტო აქციას გეგმავს? ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატს, „საქართველოს გადარჩენის მოძრაობის“ ლიდერ **მირიან მირიანაშვილს.**

***— ოპოზიციონერები ისევ აყენებენ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების გამართვის საკითხს. ეს შესაძლებელია?***

— ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების თემა მკვდარია. ამის მსურველებს ვადები ხელიდან გაუსხლტათ. „ახალ თაობასთან“ მისაუბრია იმაზე, რომ რიგგარეშე არჩევნების ხელოვნურად გამოწვევას ახდენდა რუსეთი. 2019 წლის ბოლოს ამას რუსი პოლიტტექნოლოგები აკეთებდნენ „ქართული ოცნებისა“ და ე.წ. ოპოზიციური ერთობის მონაწილეობით. მიზანი იყო, საქართველოში ვადამდელი არჩევნებით რუსეთს მოეხდინა პოლიტიკური რენოვაცია დროის იმ მონაკვეთში, როცა აშშ-ს ამისათვის ნაკლებად ეცლებოდა. რუსეთში მიმდინარე პროცესებმაც გამოაჩინა, რატომ ჩქარობდა რუსეთი.

***— რატომ ჩქარობდა? თავის ქვეყანაში რეფორმირება უნდა წამოეწყო?***

— ცხადია. რუსეთს ჯერ უნდა მოეთავებინა საქმეები საქართველოში და შემდეგ დაეწყო ის ტრანსფორმაცია, რომელიც დაწყებულია.

***— რუსეთი თავის მმართველობით სისტემას ცვლის, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ საქართველოსთვის ველარ მოიცლის. თქვენ ამბობდით, რომ კრემლი საკუთარი პოლიტტექნოლოგების დახმარებით საქართველოში თებერვლიდან ახალ სქემებს აამუშავებდა.***

— ახალი სცენარები ახალ მატრიცაზეა გათვლილი. თვითონ პუტინმა ხომ იცოდა, რასაც აპირებდა თავის სახელმწიფოში! საქართველოს პოლიტიკური რუსული დრამატურგია ამაზე უნდა ყოფილიყო მისადაგებული. ასეც არის დაგეგმილი. ერთი ეგაა, რომ გეგმების ამუშავება ერთი კვირით გადაიწევს და პოლიტიკური დადგმის მაყურებლები თებერვლის პირველ კვირაში ვიქნებით.

***— ოპოზიცია 4 თებერვლიდან აქციებს აანონსებს.***

— რაც ამ ოპოზიციამ დააანონსა, თვენახევრის წინ ვთქვი. ოპოზიცია ახმიანებს რუსების დავალებას. გეგმის დეტალები თვითონ ოპოზიციამ არ იცის. 14 დეკემბრიდან რუსეთის დირიჟორობით საქართველოში პოლიტიკური თეატრი დროებით გამოირთო. პოლიტიკოსებმა ხალხს უთხრეს, რომ ტაიმ-აუტს იღებენ.

რუსი დირიჟორებისთვის ამხელა პაუზა ჩავარდნაა. პაუზების დროს ხანდახან თვითშემოქმედების ელემენტები იჩენს თავს. არჩევნები მოდის და პოლიტიკური თეატრი დღის წესრიგიდან ვერ ჩამოხსნის საარჩევნო თემას.

***— ეს თემა მუდმივად ტრიალებს, მათ შორის, მოლაპარაკებებზეც.***

— საარჩევნო თემას დაემატა გახარიას საკითხი. თავიდანვე ჩაფიქრებული იყო, რომ არჩევნების წინ ყველა პრობლემას გადააბრალებდნენ გახარიას. მას გაწირავდნენ, როგორც პრორუსულ ფიგურასაც. ივანიშვილისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იქნებოდა ქულების დაწერა ამერიკელების თვალში. გახარიას გაშვება მას სჭირდება დივიდენდებისათვის. ამერიკიდან ეს დივიდენდები არ ჩანს.



***— თუ მომავალშიც ვერ დაინახავს სარგებელს, მაშინ გახარიას გაწირვას აზრი ეკარგება?***

— რასაკვირველია. ბოლო პერიოდში ივანიშვილი აშშ-ში სხვა გზავნილებსაც უშვებს. ერთ-ერთი საკითხია დავით უსუფაშვილის კანდიდატურა.

***— საუბარია დავით უსუფაშვილის მომავალ პოზიციაზე?***

— დიახ. ივანიშვილს მომავალ პარლამენტში თავმჯდომარედ დავით უსუფაშვილი უნდა. მას ჰგონია, რომ ეს გეგმა გაუადვილებს ურთიერთობას აშშ-სთან.

***— სინამდვილეში, ამერიკელებს ამით ვერ მოიმადლიერებს?***

— ამერიკელები უსუფაშვილის კანდიდატურას გულგრილად ხვდებიან. იმაზე, თუ რატომ ვერ შეათანხმებს ივანიშვილი უსუფაშვილის კანდიდატურას, შემიძლია მომავალ ინტერვიუში გითხრათ.

ამითაც გამოაშკარავდა, რომ უსუფაშვილი „ლელოში“ ივანიშვილის დასტურით მივიდა, თვითონ „ლელო“ კი არ არის ივანიშვილის ოპოზიცია. რაც უნდა ისტერიკები მოაწყონ „ლელოს“ ლიდერებმა, ინფორმირებულ ხალხს ვერ დააჯერებენ, რომ ოპოზიციაში არიან. ბიძინა ივანიშვილი შოკში ჩააგდო ენდიაის ბოლო კვლევამ.

***— შოკში რატომ ჩააგდო? „ქართული ოცნების“ 20% და საკუთარი მაღალი ნეგატიური რეიტინგი არ უნდა ყოფილიყო მოულოდნელი.***

— რეიტინგებში არ არის საქმე. ბიძინა ივანიშვილს ეგონა, რომ იმ დროს მაინც, როცა კონტაქტებს ეძებს ამერიკაში, ენდიაის შეეძლო, კვლევა საერთოდ არ ჩაეტარებინა. ყველაფერი ერთმანეთს დაემთხვა დროსა და სივრცეში.

***— ნაცმოძრაობის წევრებს თუ დავუჯერებთ, ივანიშვილი ვაშინგტონს აშანტაჟებს და საგარეო კურსის რუსეთისკენ შეტრიალებით იმუქრება.***

— ვაშინგტონს ვერ აშანტაჟებენ გავლენიანი სახელმწიფოების ლიდერებიც კი. ამას ვერ აკეთებენ ირანი, თურქეთი, ჩინეთი და ხანდახან — რუსეთი. ვინ დაიჯერებს, რომ ივანიშვილი აშშ-ს აშანტაჟებს! ასეთი განცხადებები სასაცილოა და საფრთხის შემცველი თვითონ ივანიშვილისთვის.

***— ენდიაის კვლევების შედეგები მარტო ივანიშვილისათვის არ არის გულის მოსაკლავი. 26 იანვარს პატრიოტთა ალიანსი აშშ-ის საელჩოსთან ენდიაისა და აირაის წინააღმდეგ ატარებს საპროტესტო აქციას. პარტიას ამ ორგანიზაციების აკრძალვა უნდა.***

— ივანიშვილმა ამერიკელებს შეუთვალა, რომ არ მოიაზრებს საპარლამენტო ძალებად აფიშირებულ პრორუსულ ძალებს — პატრიოტთა ალიანსს და ბურჯანაძის პარტიას. ინაშვილს ამას გადაბრუნებულად უყვებიან. ალიანსის კურატორი რუსეთის სახელმწიფო დუმიდან კალაშნიკოვი ინაშვილს აწვეთებს, რომ ეს მოთხოვნა აშშ-ის ოფიციალური წარმომადგენლებიდან მოდის. რაც უნდა ოდიოზური რუსული ძალა იყოს ინაშვილის პარტია, ამერიკელები მის პარლამენტში შეშვება-არშეშვებაზე არ ილაპარაკებენ. აბსოლუტურად გამორიცხულია, ვინმემ ამაზე სიტყვა დაძრას. ეს იქნებოდა დემოკრატიის პრინციპების ხელყოფა. ასეთი რამის გამო ნებისმიერი ამერიკელი მოხელე გამოემშვიდობებოდა თავის თანამდებობას.

ინაშვილს თუ პრეტენზიის გამოთქმა უნდა, ჯობია, იმას წაუყენოს, ვინც პაიკივით სწირავს და არა აშშ-ის საელჩოს, რომელიც არაფერ შუაშია. მისი პროტესტის საფუძველი ესაა და არა — აირაი და ენდიაი.

***— მესამე პრეზიდენტი შორიდან აქტიურობას აგრძელებს. მას რა როლი აქვს მომავალ პროცესებში?***

— ბოლო პერიოდში სააკაშვილის მიმართ რუსები უარყოფითად განეწყვნენ. ისინი უკვე თვლიან, რომ სააკაშვილი ბალასტია. რუსების თვალში სააკაშვილი ხელს უშლის რუსეთის გეგმებს, რომლებსაც დირიჟორები ადგენენ ფსევდოდასავლური ოპოზიციის გასაქაჩად.

ამ მიზეზით ფსევდოოპოზიციური წრეებიდან სააკაშვილზე მიმდინარეობს შეტევები. სააკაშვილთან აფილირებული ჯგუფები, რუსების დავალებით, მასზე თავდასხმებს უფრო გააძლიერებენ. რუსეთში მიხვდნენ, რომ სააკაშვილს ამერიკაში ნდობის ნატამალი არ გააჩნია. იგი რუსეთთან ასოცირდება.

დირიჟორებს იმედი აქვთ, რომ შემდგომ პოლიტიკურ სპექტაკლებში საქართველოს ცრუ პროდასავლურ ოპოზიციას მის გარეშე ჩააბამენ.

დარწმუნებული ვარ, ეს პროგნოზიც ახდება, ისევე, როგორც გამართლებულა ჩემი სხვა პროგნოზები.

# „მან დაინახა, როგორ ურტყამდა მიხეილ კალანდია დავით სარალიძეს წაწვეტებულ საგანს“

## ლევან დადუნაშვილის მკვლელობაში მსჯავრდებულმა გუგა ბარბაქაძემ მიხეილ კალანდიას წინააღმდეგ ჩვენება მისცა




გუშინ, 21 იანვარს, ლევან დადუნაშვილის მკვლელობაში მსჯავრდებულმა გუგა ბარბაქაძემ დავით სარალიძის მკვლელობაში ბრალდებულ მიხეილ კალანდიასა და კიდევ ერთი პირის, გ.მ.-ს წინააღმდეგ ჩვენება მისცა.

როგორც სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ, ჟურნალისტებს საქმის პროკურორმა, მირიან მეგრელიშვილმა განუცხადა, გუგა ბარბაქაძის ჩვენება ბრალდების მხარისთვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებაა.

ამასთან, პროკურორის განმარტებით, მოწმის სტატუსით დაკითხულმა მსჯავრდებულმა სასამართლო პროცესზე განაცხადა, რომ დაინახა, თუ როგორ ურტყამდა მიხეილ კალანდია დავით სარალიძეს წაწვეტებულ საგანს.

– მოწმემ სასამართლოს მიაწოდა მისთვის ცნობილი ინფორმაცია. ჩვენების შინაარსში არ შემიძლია შევიდე, ვინაიდან პროცესი დახურული იყო. ერთი ფაქტობრივი გარემოება შემიძლია მოგახსენოთ. მოწმე გ.ბ.-მ დაადასტურა, რომ მან დაინახა, როგორ ურტყამდა მ.კ. დავით სარალიძეს მის ხელთ არსებულ წაწვეტებულ საგანს.

შესაბამისად, აღნიშნული ჩვენება შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბრალდების მხარის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მტკიცებულება გახლავს. საგნის ზუსტი დასახელება არ მომხდარა, მაგრამ მოწმემ სავსებით გასაგებად აღწერა საგნის პარამეტრები, ფორმა, ზომა, მათ შორის ის პარამეტრები, რომ საგანი იყო წვეტიანი და მას თავისუფლად შეეძლო, ის ჭრილობები მიეყენებინა დავით სარალიძისათვის, რა ჭრილობებიც ჰქონდა მიყენებული, – განაცხადა მეგრელიშვილმა.

მოახდენს თუ არა პროკურატურა მოწმის მიერ გაჟღერებულ ინფორმაციაზე რეაგირებას, რომლის მიხედვითაც დავით სარალიძეს გ.მ.-ც ურტყამდა?

პროკურორი აცხადებს, რომ ცალკე გამოყოფილ საქმე კვლავ გამოძიებაშია და ბრალდების მხარე ყველა შესაძლო დანაშაულზე მოახდენს რეაგირებას.

– ამ ეტაპზე განიხილება მ.კ.ს ბრალდების სისხლის სამართლის საქმე და შემიძლია იმ მიმართულებით ვისაუბრო, რაც მ.კ.-ს ბრალდების საქმეს ეხება. დანარჩენი შეფასდება მტკიცებულებათა გამოკვლევის შემდეგ.

ამ საქმიდან გამოყოფილი სისხლის სამართლის საქმე ისევ გამოძიებაშია ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში, შესაბამისად, ბრალდების მხარე რეაგირებას მოახდენს ყველა სავარაუდო დანაშაულის შესახებ, თუმცა, ჯერ ამ საქმეზე უნდა დავამთავროთ მტკიცებულებათა გამოკვლევა, – განაცხადა მეგრელიშვილმა.

მიხეილ კალანდიას ადვოკატი ზურაბ თოდუა აცხადებს, რომ გუგა ბარბაქაძის ჩვენება არაადეკვატურია.

აღნიშნულის შესახებ თოდუამ ჟურნალისტებს სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ განუცხადა.

როგორც თოდუა განმარტავს, მოწმის სახით დაკითხული მსჯავრდებულის ჩვენებები სხვა მის ჩვენებებთან წინააღმდეგობაში მოდის. როგორც ადვოკატი აცხადებს, გუგა ბარბაქაძეს მსგავსი ჩვენების მიცემის დავალება პროკურატურისგან აქვს.

– მოწმემ ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებები მოგვცა. მოწმემ ისეთი ახალი გარემოებების შესახებ ისაუბრა, რომლებიც მას აქამდე გაჟღერებული არ ჰქონია. მსჯავრდებულ ბარბაქაძის მიმართ განხორციელებულია ფარული საგამოძიებო მოქმედება, როცა ის პოლიციის განყოფილებაში იმყოფებოდა. იქ ბარბაქაძე საერთოდ სულ სხვა რამეს ამბობს, მაგრამ ეს პატივცემული მოწმე დღეს სულ სხვა რამეს აცხადებს.

თურმე, სანამ ფარული საგამოძიებო მოქმედებები დაიწყებოდა, მასზე ფსიქოლოგიური ზეწოლა განახორციელეს პოლიციელებმა, მაგრამ მან ვერცერთი პოლიციელის აღწერა ვერ შეძლო. მოწმის თქმით, რაღაც ჩანაწერი მისცეს და ამ ჩანაწერით ხელმძღვანელობდა. კითხვაზე, იყო თუ არა ამ ჩანაწერში რამე ტექსტი, რომელიც კალანდიას მონაწილეობას გამორიცხავდა, მან განაცხადა, რომ კალანდიას შესახებ ჩემთვის არავის არაფერი დაუვალებია და არ უთხოვიაო.

ახლა პატივცემული მოწმე ამბობს, რადგან ორი წელია გასული, დეტალები არ მახსოვს, მაგრამ 2018 წლის 30 ივნისს, როცა დავიკითხე გამომძიებლის მიერ, მაშინ უკეთესად მახსოვდა და, რა ინფორმაციაც იმ გამოძიებაში მაქვს მიწოდებული, ის არის მართალიო.

ის გაცილებით ადრე, 17 მაისს არის სასამართლოში დაკითხული, იმ მომენტში ყველაფერი უკეთ მახსოვდა და ის არის ნამდვილიო, თქვა. ის ამ ორ ჩვენებაში ამბობს ასეთ რაღაცას, რომ მან დაინახა, როგორ ურტყამდნენ კალანდია და გ.მ. დავით სარალიძეს რაღაც გაურკვეველ საგანს. ეს გაურკვეველი საგნის აღწერილობა მან გამომძიებელს არ განუმარტა მაშინ, მაგრამ ახლა განმარტა, რომ ეს რაღაც გაურკვეველი საგანი შესაძლოა ყოფილიყო 5, 7, 8, 10 სმ საგანი, რომელსაც ჰქონდა რაღაც წაწვეტებული, მაგრამ ეს არ იყო დანა.

ვფიქრობ, ზუსტად ეს დავალება აქვს მას ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში, დღეს მოქმედი პროკურატურის მიერ, რომ მან ეს ჩვენება გამოძიებას მისცეს, რათა ის გადაწყვეტილება, რაც ხელისუფლებას კალანდიას მიმართ ჩაფიქრებული აქვს, საქმეში ჩადონ.

ამ მოწმის ჩვენება არაადეკვატურია, ის წინააღმდეგობაში მოდის მის 4 ჩვენებასთან. ლოგიკურია კითხვა, როდის ამბობს ის სიმართლეს, მაშინ, როცა ფარულად ჩაწერეს, მაშინ როცა სასამართლოში მისცა ჩვენება, პოლიციის განყოფილებაში ისაუბრა, თუ დღევანდელ პროცესზე? – განაცხადა თოდუამ.

გუგა ბარბაქაძის ადვოკატის, რამაზ ჩინჩალაძის განცხადებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფს ჩვენება არ შეუცვლია და ის თანხვედრაშია, მის მიერ მიცემულ სხვა ჩვენებებთან.

– დაიკითხა ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი და მან დეტალურად განმარტა, თუ რა მოხდა 2017 წლის პირველ დეკემბერს, ხორავას ქუჩაზე და მის მიერ მიცემული ჩვენებები შეესაბამება სასამართლოში პირველი ინსტანციის მის წინააღმდეგ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეზე მიცემულ ჩვენებას და ასევე, არაერთი ჩვენება აქვს გამოძიებაში მიცემული.

ეს ჩვენება თანხვედრაშია მის მიერ ნებისმიერ ჩვენებასთან, რომელიც ამ კონკრეტულ საქმეში აქვს დაფიქსირებული. დეტალურად ვის რა ეჭირა ხელში და ვინ ვის რა საგანს ურტყამდა.

მე მესმის საზოგადოებრივი ინტერესი თუმცა, ამ ეტაპზე ვფიქრობ, რომ არ არის სასურველი ასეთი წვრილმანი დეტალები გავაჟღეროთ. ჩემმა დაცვის ქვეშ მყოფმა რაც პროცესზე ისაუბრა, სრულ შესაბამისობაშია მის მიერ დღემდე მიცემულ ყველა ჩვენებასთან.

ბრალდების მხარეს დავეთანხმები, მან დეტალურად ისაუბრა ხორავას ქუჩაზე მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, ვინ სად იდგა, ვის ხელში რა საგანი ნახა და ა.შ., – განაცხადა ადვოკატმა ჩინჩალაძემ.

გუგა ბარბაქაძე ლევან დადუნაშვილის განზრახ მკვლელობისთვისაა მსჯავრდებული და მას სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა 11 წლითა და 3 თვით აქვს შეფარდებული.

მიხეილ კალანდია დავით სარალიძის ჯგუფურად დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობის ბრალდებით სამართალდამცავებმა 2019 წლის 4 ივნისს დააკავეს.

მას აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა 6 ივნისს შეეფარდა.

შემდეგი სასამართლო სხდომა 23 იანვარს, 11:00 საათზე გაიმართება.

# ნინო ლომჯარია: „ციხეში მაყურებლები საკნებში თავისუფლად გადაადგილდებიან, აგროვებენ ფულს...“

## თეა წულუკიანი: „ლომჯარიაზე იმდენად ავღელდი, რომ დეესკალაციის ოთახში 24 საათით მოთავსება მჭირდება“





– ციხეში ე.წ. მაყურებლები თავისუფლად გადაადგილდებიან, შედიან საკნებში, აგროვებენ ე.წ. საერთოს, უგვარებენ პრობლემებს ადმინისტრაციას.

ამის შესახებ სახალხო დამცველმა ნინო ლომჯარიამ გუშინ, 21 იანვარს, პარლამენტში ჟურნალისტებთან განაცხადა.

როგორც ნინო ლომჯარია აღნიშნავს, ამ პრობლემებს იუსტიციის სამინისტრო ვერ უარყოფს, რადგან არსებობს ოფიციალური კორესპონდენცია, სადაც ამ პრობლემებს ადასტურებს.

– ევროპის წამების პრევენციის კომიტეტმა შარშანდელ ანგარიშში ძალიან ხმამაღლა დაადასტურა, რომ ერთ-ერთ პენიტენციარულ დაწესებულებაში ნამდვილად არსებობენ ე.წ. მაყურებლები, ეს ეხებოდა მე-15 დაწესებულებას. თუმცა, ჩვენ შევარჩიეთ საქართველოში ყველაზე დიდი ნახევრად ღია ტიპის და დახურული დაწესებულებები, საერთო ჯამში 4 ყველაზე დიდი დაწესებულებაა.

ჩვენმა მონიტორინგის ჯგუფმა დაადასტურა, რომ ე.წ. მაყურებლები არსებობენ როგორც ნახევრად ღია ტიპის, ასევე დახურულ დაწესებულებებში, სადაც ეს ადამიანები, მიუხედავად იმისა, რომ დახურული რეჟიმია, თავისუფლად გადაადგილდებიან, შედიან საკნებში, აგროვებენ ე.წ. საერთოს, უგვარებენ პრობლემებს ადმინისტრაციას, ეუბნებიან პატიმრებს, რომ არ დაწერონ საჩივარი და ისინი თავად მოუგვარებენ პრობლემებს.

აქვს ადგილი გარიყვას, იძულებას, შევიწროებას, რომ მონაწილეობა მიიღონ საერთოს აკრეფაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, ირიყებიან მათი სოციუმიდან და ექვემდებარებიან ჩაგვრას.

ჩვენ გვახსოვს 2013, 2014, 2015 წლებში, როცა სწორედ კრიმინალური სუბკულტურის მატარებელი ე.წ. მაყურებლების მხრიდან მოხდა ფიზიკური ანგარიშსწორება და 3 პატიმრის გარდაცვალება სწორედ ასეთი გარჩევების დროს, ამიტომ ის ე.წ. წესრიგი ძალიან მყიფეა დღეს პენიტენციარულ დაწესებულებებში, ძირითადად, ასეთი ტიპის ურთიერთობებს გულისხმობს და ნებისმიერ დროს ადმინისტრაციამ შეიძლება კონტროლი დაკარგოს სიტუაციაზე, – განაცხადა ლომჯარიამ.

ლომჯარიას განცხადებაზე კომენტარი გააკეთა იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა.

– ჩვენ ამ ტრიბუნიდან მოვისმინეთ სიმართლეც, ჭორებიც, არაპროფესიონალიზმიც და იმდენად ავღელდი, რომ ნამდვილად მჭირდება დეესკალაციის ოთახში 24 საათით მოთავსება, – განაცხადა მან.

მინისტრმა საზოგადოებას ციფრები მიაწოდა:

– 2020 წლის 19 იანვრის მდგომარეობით პატიმრობაში მყოფი პირების საერთო რაოდენობა იყო 9 ათას 762 პირი, აქედან მსჯავრდებული იყო 7 ათას 968, ხოლო დანარჩენი 1800-მდე პირი იყო ბრალდებული და ელოდა განაჩენს. ამ მსჯავრდებულთაგან 308 არის ქალი, 33 კი – არასრულწლოვანი.

2019 წელს საქართველოს საპატიმროებში გარდაიცვალა 16 პატიმარი, შედარებისთვის ეს რიცხვი 2010 წელს იყო 144, 2011 წელს – 140, ხოლო 2013-18 წლებში საშუალოდ არ აღემატებოდა 20-ს. შარშან ეს რიცხვი იყო 16, თუმცა ეს რიცხვი არის მინიმალურ ზღვარზე ბოლო ათწლეულების განმავლობაში. შესაბამისად, თუკი ჩვენ ვამბობთ ანგარიშში, რომ პატიმრები არიან ყოველდღიური საფრთხის წინაშე.

რატომაა ეს რიცხვი ასეთი დაბალი, ალბათ იმიტომ, რომ თანამშრომლები 24-საათიან რეჟიმში მუხლჩაუხრელად შრომობენ.

# რუსთავში ბუნებრივი აირით ინტოქსიკაციით მამა-შვილი დაიღუპა

რუსთავში, სავარაუდოდ, ბუნებრივი აირით ინტოქსიკაციით ორი ადამიანი დაიღუპა.

შემთხვევა მშენებელთა ქუჩაზე მოხდა.

დაღუპულები მამა და შვილი არიან.

წინასწარი ინფორმაციით, მათი დაღუპვის მიზეზი წყლის გამაცხელებლიდან საცხოვრებელ სახლში CO-ს გაჟონვა გახდა.

ადგილზე მობილიზებული იყო საპატრულო პოლიცია და სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-ში განუცხადეს, მომხდარ ფაქტზე გამოძიება სსკ-ის 240-ე პრიმა მუხლითაა დაწყებული, რაც ელექტრო ან თბოენერგიის, გაზის, ნავთობის ან ნავთობპროდუქტების ობიექტზე უსაფრთხოების წესების დარღვევას გულისხმობს.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნილბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა, რაშიც ლამარა თოდუას ნაყენები დაგეხმარებათ. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.**

# ბიძინა ჩაჩხიანს ბრალი დაუმძიმდა

„კლუბ ბასიანის“ თანამშრომლებზე განხორციელებულ თავდასხმაში ბრალდებულს ბრალი დაუმძიმდა.

როგორც პროკურატურის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, 12 იანვარს „კლუბ ბასიანის“ თანამშრომლებზე განხორციელებული თავდასხმის ფაქტზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში ჩატარებული არაერთი საგამოძიებო მოქმედების და დამატებით მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე, ბ. ჩ.-ს დაუზუსტდა ბრალდება.

„მას წარედგინა ბრალი განზრახ მკვლელობის მცდელობისათვის, ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ხულიგნური ქვენა გრძნობით, ჩადენილი ორი ან მეტი პირის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 19,109-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“, მე-2 ნაწილის „გ“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით.

ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული აქვს პატიმრობა. საქმეზე გამოძიება გრძელდება“, – ნათქვამია განცხადებაში.

აღსანიშნავია, რომ კლუბ „ბასიანთან“ 3 ადამიანის დაჭრისთვის დაკავებულ ბიძინა ჩაჩხიანს ბრალი ოფიციალურად 13 იანვარს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“, მე-5 ნაწილის „გ“, მე-7 ნაწილის „ა“ და 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით წარუდგინეს, რაც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებასა და ხულიგნობას გულისხმობს.



## ირანელი დეპუტატი: „ვინც ტრამპს მოკლავს, 3 მილიონი დოლარის ჯილდოს გადავცემთ“

ირანელი დეპუტატი აცხადებს, რომ 3 მილიონ დოლარს გადაუხდის მას, ვინც ტრამპს მოკლავს.

– ქერმანის პროვინციის სახელით, ჩვენ ვაწესებთ 3 მილიონის ჯილდოს, ნაღდი ფულით მისთვის, ვინც ტრამპს მოკლავს, – განაცხადა აჰმად ჰამზეჰმა პარლამენტში სიტყვით გამოსვლის დროს.

ჰამზეჰს არ დაუკონკრეტებია, არის თუ არა ჯილდო შეთანხმებული ირანის სასულიერო ლიდერებთან.

ქერმანი ქასემ სოლეიმანის მშობლიური ქალაქია. სოლეიმანი, ყუდსის ძალების გენერალი, 3 იანვარს ბაღდადის აეროპორტთან, პენტაგონის მიერ განხორციელებული ოპერაციის დროს დაიღუპა.

## აშშ-ში მარტინ ლუთერ კინგის დღე აღნიშნეს



აშშ-ში ცნობილი უფლებადამცველის მარტინ ლუთერ კინგის დაბადების დღე აღნიშნეს. მთელი ქვეყნის მასშტაბით გაიმართა მიტინგები. ტრამპის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა კინგის ძეგლთან ყვავილები დააწყვეს.

– ჩემი ოცნებაა ერთიანი ამერიკა, სადაც ზანგი თუ თეთრკანიანი ძმურად იცხოვრებენ და ამერიკის კეთილდღეობისა და დიდებისთვის ერთად იზრუნებენ, – წერდა კინგი.

დღეს უკვე ცხადია, რომ კინგის მოღვაწეობამ უშედეგოდ არ ჩაიარა. აშშ-ში ნაციონალური პრობლემა კარგა ხანია მწვავედ აღარ დგას. მეტიც, არცთუ შორეულ წარსულში ბარაქ ობამას სახით ამერიკას ზანგი პრეზიდენტი ჰყავდა.

## რუსეთს ახალი გენპროკურორი ჰყავს



რუსეთის გენერალურმა პროკურორმა ჩაიკამ პოსტი დატოვა. მიზეზად ასაკი დასახელდა.

ჩაიკას იგორ კრასნოვი შეცვლის. ის 1975 წელს არხანგელსკში დაიბადა. იყო განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელი, უკანასკნელ ხანს კი რუსეთის საგამომძიებლო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე იყო.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## აბრამოვიჩის ყოფილმა ცოლმა ბერძენ მილიარდერთან იქორწინა



რუსი მილიარდერის რომან აბრამოვიჩის ყოფილმა მეუღლემ დარია ჟუკოვამ და ბერძენმა მილიარდერმა სტავროს ნიახროსმა ქორწილი გადაიხადეს, რომელიც 6,5 მილიონი დოლარი დაჯდა.

საქორწილო ცერემონია შვეიცარიის სამთო-სათხილამურო კურორტ სანკტ-მორიცის სასტუმრო Kulm-ში გაიმართა, რომელიც ბერძენის ოჯახის საკუთრებას წარმოადგენს. მიწვეულ სტუმართა შორის იყვნენ დიზაინერი სტელა მაკარტნი, ამერიკელი მსახიობი კეიტ ჰადსონი და ბრიტანელი პრინცესა ბეატრისი.

ასევე ცერემონიაზე მიწვეული იყო რუსი ტელეწამყვანი ქსენია სობჩაკი, მაგრამ მან გამგზავრება ვერ შეძლო და დარია ჟუკოვას ინსტაგრამით მიულოცა.

## მეთევზეებმა უიშვიათესი ალბინოსი დელფინები ვიდეოზე გადაიღეს

ტაილანდის სონგკხლას პროვინციის ჩრდილოეთ სანაპიროსთან მეთევზეებმა ვიდეოკამერაზე გადაიღეს უიშვიათესი ალბინოსი დელფინები. აღნიშნული ვიდეო ერთ-ერთმა აზიურმა საინფორმაციო სააგენტომ გამოაქვეყნა.

მეთევზეებმა უჩვეულო შეფერილობის დელფინები იმ დროს შენიშნეს, როდესაც თავიანთ ხომალდზე ზღვაში ჩაშვებული ბადეები ამოჰქონდათ. მათ ჩათვალეს, რომ დელფინები მათ მიერ დაჭერილი თევზების სუნმა მიიზიდა. ერთ-ერთმა მეთევზემ ტელეფონი აიღო და თეთრი დელფინები ვიდეოკამერაზე აღბეჭდა.

კადრებში ჩანს, თუ როგორ დაცურავენ ალბინოსი დელფინები და ერთმანეთს პირდაპირ სათევზაო გემის მახლობლად ეთამაშებიან.

## მოტაცებული 14 წლის გოგონა მესინჯერის წყალობით გადარჩა



ამერიკის კალიფორნიის შტატში მოტაცებულმა 14 წლის გოგონამ თავის გადარჩენა მესინჯერის წყალობით მოახერხა.

გამტაცებელმა 55 წლის ალბერტ ტომას ვასკესმა გოგონას ნარკოტიკები მისცა. მისი უმწეო მდგომარეობით ისარგებლა და თავის თანამზრახველებთან ანტონიო კვარინო სალვადორთან და ედიბერტო გონზალეს ავარენგასთან ერთად გოგონა ავტომობილში მოათავსეს და ქალაქ სან-ხოსეს მოტელში მიიყვანეს. გზაში ვასკესმა გოგონასთან მიმართებაში განახორციელა არასქესობრივი დანაშაულებრივი ქმედება, რომელიც არ სახელდება.

მოტელიდან გოგონა მეგობრებს მესინჯერის დახმარებით დაუკავშირდა. მან დაწერა, რომ ის მოიტაცეს და არ იცოდა, სად იმყოფებოდა. მეგობრებმა მესინჯერის დახმარებით მოახერხეს მისი ადგილსამყოფელის დადგენა და ექსტრემალურ სამსახურს დაუკავშირდნენ.

ადგილზე მისულმა პოლიციელებმა გოგონა გაათავისუფლეს, ვასკესი კი დააპატიმრეს. მას ადამიანის გაუპატიურების მიზნით გატაცების, უკანონოდ თავისუფლების აღკვეთის, ბავშვის მიმართ ულირსი ქმედების და კიდევ სხვა დანაშაულების ჩადენის ბრალდება აქვს წაყენებული.

სალვადორი და ავარენგა მოგვიანებით იქნენ დაპატიმრებულნი. მათ ბრალად ადამიანის გატაცების მიზნით დანაშაულებრივ გარიგებაში მონაწილეობა ედებათ ბრალად.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ნიკო გომელაურის ლექსები კიდევ ერთხელ გამოიცა

მსახიობისა და პოეტის ნიკო გომელაურის ლექსების კრებულებზე მოთხოვნა არ წყდება.

მისი მეუღლე ნინა ჩოდრიშვილი მკითხველის დაჟინებული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად იძულებული გახდა, კრებული „ოცნებები მცნებებივით ირღვევიან“ კიდევ ერთხელ გამოეცა:

– როგორც იქნა მოვახერხე ნიკოს წიგნის „ოცნებები მცნებებივით ირღვევიან“ დაბეჭდვა და შევიტანე „ბიბლუსის“ ქსელში. ძალიან ვამაყობ ამ ჩემი მოხერხებით, რადგან დოლარის კურსის აპოთეოზის გამო, წიგნის დაბეჭდვა უზომოდ ძვირი გახდა. ნიკომ მთხოვა „წიგნი არ გააძვირო“. ვასრულებ მის დანაბარებს, ოღონდ დიდი პაუზებით, რისთვისაც გიხდით ბოდიშს. მადლობა, რომ არ მასვენებთ და ითხოვთ წიგნს დროულად.



## მამუკა პავლიაშვილი 50 წლის იუბილეს აღნიშნავს



ცხინვალის თეატრის მსახიობი მამუკა პავლიაშვილი 50 წლის იუბილეს აღნიშნავს.

22 იანვარს თეატრალური უნივერსიტეტის სასწავლო თეატრში იუბილარი მსახიობი მაყურებელთან შეხვედრას გამართავს.

– გეპატიჟებით საიუბილეო საღამოზე. ძალიან გამახარებთ თქვენი სტუმრობით. მიყვარხართ! – აცხადებს იუბილარი ხელოვანი.




## ფილმს „ექვთიმე ღვთისკაცი“ ნიუ იორკში აჩვენებენ

23 იანვარს ნიუ იორკში, მანჰეტენზე ქართული მხატვრული ფილმის „ექვთიმე ღვთისკაცი“ ჩვენება გაიმართება.

რეჟისორ ნიკოლოზ ხომასურიძის ფილმში მთავარ როლებს რეზო ჩხიკვიშვილი და ანა წერეთელი ასრულებენ.

ფილმში ქართული ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული ექვთიმე თაყაიშვილის შესახებ მოგვითხრობს. მასში ასახულია მისი მიერ ქართული საგანძურის გადარჩენის ამბავი.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ლაშა ნანობაშვილი „მხოლოდ ქართულიდან“ გავარდა



მომღერალი ლაშა ნანობაშვილი „მხოლოდ ქართულის“ მესამე სეზონის ნახევარფინალისტებში ვერ მოხვდა.

რუსუდან სებისკვერაძის სიმღერის ტურში მან მაყურებლისა და ჟიურისგან სულ 65 ქულა დააგროვა და პროექტს გამოეთიშა.

კონკურსანტებმა კომპოზიტორის ცნობილი სიმღერები შეასრულეს. ჟიურისგან ყველაზე მაღალი შეფასება გიორგი ძოწენიძემ დაიმსახურა., თუმცა მაყურებლის და ჟიურის ერთობლივი ქულების დაჯამებით ლიდერი თამთა ხუხუნაიშვილი გახდა.

სულ შოუში 85.000 ზარი შევიდა. ყველაზე ცოტა ქულა ანა ქურთუბაძეს და ლაშა ნანობაშვილს ჰქონდათ, თუმცა საბოლოო ქულების დათვლით, ანა პროექტში დარჩა.

„მხოლოდ ქართულის“ მესამე სეზონის ნახევარფინალისტები არიან: თამთა ხუხუნაიშვილი, ნინი შონია, ანა ქურთუბაძე, ლუკა ჭოხონელიძე და გიორგი ძოწენიძე.

მომდევნო ორშაბათს „მხოლოდ ქართულის“ ნახევარფინალია. კონკურსანტები ლელა წურწუმიას და სტეფანე მღებრიშვილის ტურში იმღერებენ და შოუს ბოლოს ფინალისტებიც დასახელდებიან.



## განცხადებები

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ფოტოსურათით მოგიხსნით ნეგატიური და ნერვული სტრესებით გამოწვეულ პრობლემებს: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, დეპრესიას, ძილში შფოთს, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, ოჯახურ პრობლემებს. ნუ დაელოდებით, თქვენ გარშემო მყოფი თავს როდის მოიკლავს ან ჩამოუყალიბდება შიზოფრენია. ჩვენ ხომ მისი გადარჩენა შეგვიძლია. მის: წერეთლის გამზ. №57, II სადარბაზო, II სართული, ოფისი №777. ტელ: 599-49-84-23, ნანა ქიბროწაშვილი, ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი.

● ტიბეტური მედიცინა გთავაზობთ დაავადების გამომწვევ მიზეზთა დიაგნოსტიკას სპეციალური აპარატურით. მკურნალობას ჩაგიტარებენ მოწვეული ექიმები. ტელ: 579-281-766.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიომცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართანებისმიერიპრობლემისმოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

● ვაქირავებ 2-ოთახიან, კეთილმოწყობილ, იზოლირებულ ბინას სტუდენტი გოგონასთვის. მისამართი: ნინოშვილის 57/კონსტიტუციის 13. ტელ: 599-294-293.

# რუსთავი ქორქია-საკანდელიძის მემორიალის გამარჯვებულია

**კაკტუსი-რუსთავი 86:89 (ოტ)**
(25:25, 8:22, 27:14, 20:19, 6:9)

ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას მემორიალური ტურნირის გამარჯვებული საკალათბურთო კლუბი რუსთავი გახდა. ანატოლი ბოისას გაწვრთნილმა გუნდმა ოლიმპიური ჩემპიონების მშობლიურ ქალაქ ქუთაისში დაძაბულ, ოვერტაიმიან ბრძოლაში 89:86 დაამარცხა კაკტუსი და მიმდინარე სეზონის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ტიტულს დაეპატრონა.

რუსთავი სოლიდური შემადგენლობის გამო სეზონის დასაწყისიდან ითვლებოდა ფავორიტად, მაგრამ ამ სტატუსს ვერ ამართლებდა, გეორგიოს კეცელიდისის წასვლის შემდეგ წელში გაიმართა, შედეგები გამოაკეთა და აგერ, უკვე, პირველი ტიტულიც მოიგო. რაც გუნდში მივიდა, ბოისა ზედიზედ 7 მატჩია, იგებს. ამ შედეგიანი სერიის ბოლო 4 შეხვედრა მემორიალის გახლდათ და დიდი პაუზის შემდეგ რუსთაველებმა დამსახურებული თასით გაიმდიდრეს საკლუბო მონაგარი. შეგახსენებთ, რომ 2006-10 წლებში, როცა ენერჯი-ინვესტის სახელით ასპარეზობდა, რუსთაულ გუნდს საქართველოში გათამაშებული ყველა ტიტული (ჩემპიონობა, თასი, დუდუ დადიანის და ქორქია-საკანდელიძის მემორიალები) რამდენიმეჯერ აქვთ მოგებული.




ფინალური მატჩი არ გამოდგა რუსთაველთათვის იოლი. სუპერლიგის პირველი წრის შემდეგ განხორციელებული ტრანსფერების შემდეგ კაკტუსი მნიშვნელოვნად გაძლიერდა. უმთავრესი შენაძენი არჩილ ჟღენტის გუნდისთვის გახლავთ ამერიკელი უკანახაზელი – მაიკ დევისი, რომელიც ქულების მკეთებელი მანქანაა და ამავდროულად დაცვაში და გამთამაშებლად თამაშიც შეუძლია. მისი შედეგიანობით კაკტუსელებმა 21-ქულიანი ჩამორჩენა აღმოფხვრეს, შეხვედრა ოვერტაიმში გადაიყვანეს, სადაც 4 ქულით გალიდერდნენ – 84:80.

რა თქმა უნდა, მხოლოდ დევისი არ იყო კაკტუსელების შეუპოვარი თამაშის მიზეზი. მას შემდეგ, რაც მე-3 პერიოდში თითქმის უიმედოდ – 35:56 ჩამორჩა, ჟღენტის გუნდმა მობილიზება შეძლო და თამაში თანაბარ კალაპოტში ჩააყენა. კაკტუსელებმა 27:14 მოიგეს მესამე პერიოდი და ბოლო ათწუთეულს მინიმალური ჩამორჩენით შეხვდნენ.

რუსთავის მთავარი დამსახურება კი ის გახლავთ, რომ მიუხედავად ასეთი სოლიდური ლიდერობის განიავებისა და ოვერტაიმში ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ აღმოჩენისა, გუნდი არ გატყდა და გამარჯვებამდე მივიდა. რუსთაველებს ძირითადი დროის ამოწურვამდე გაუვარდათ ერთ-ერთი დომინანტი ილია ლონდარიძე და ამას დაუმატეთ ისიც, რომ გუნდს ტრავმების გამო ეროვნული ნაკრების 4 წევრკანდიდატი – მერაბ ბოქოლიშვილი, რატი ანდრონიკაშვილი, ოთო ფხაკაძე და გეგი ბაქრაძე აკლდა.

ასეთ ვითარებაში თავისი სიტყვა თქვა სუპერლიგის მოწინავე უკანახაზელთა სიაში შარშან შესულმა საბა ლობჟანიძემ და, რა თქმა უნდა, უგამოცდილესმა აკაკი დვალიშვილმა. ლობჟანიძემ რუსთაველებს უაღრესად საჭირო ქულები პერიმეტრიდან შესძინა, ხოლო დვალიშვილი ნიკოლა ტადიჩთან ერთად ფარქვეშეთს ამაგრებდა და ამით რუსთავი დიდ სარგებელს იღებდა. უმნიშვნელოვანესი იყო გიორგი ცეკვავას და განსაკუთრებით დენზელ ლივინგსტონის როლი. ამერიკელი უნივერსალი ყველა რგოლში გამოირჩა – 14 ქულა, 10 მოხსნა, 6 პასი.

ტურნირის საუკეთესო ფორვარდად საბა ლობჟანიძე დასახელდა, რომელმაც ოვერტაიმში 5-დან 5 საჯარიმო ჩააგდო. ლობჟანიძის ბოლო ჩაგდებული ჯარიმის შემდეგ კაკტუსელებს 1.7 წამი და მინუს 3 ქულა ჰქონდათ. და წუთშესვენება, რომლის უპირატესობა ის გახლდათ, რომ კაკტუსელებს შეტევის დაგეგმვისა და ბურთის თამაშში მეტოქის ნახევრიდან შეტანის საშუალება მიეცათ. არადა, ლობჟანიძეს რომ აეცილებინა, მეტოქე შეტევის წამოწყებასაც ვერ მოასწრებდა.

წუთშესვენების შემდეგ გადამწყვეტი, გამთანაბრებელი სამქულიანი მაიკ დევისმა ააცილა და გამარჯვება მაინც რუსთავს დარჩა.

დაჯილდოების ცერემონიალზე ანატოლი ბოისა შესაბამისი სიგელით კალათბურთის ფედერაციის საშეჯიბრებო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ალეკო პეტრიაშვილმა დააჯილდოვა. საუკეთესო ფორვარდად აღიარებულ საბა ლობჟანიძეს პრიზი ვეტერანმა კალათბურთელმა გივი ბიჭიაშვილმა გადასცა, ხოლო კაკტუსის ახალწვეული უკანახაზელი მაიკ დევისი ვეტერანმა ნოდარ ქორქიამ დააჯილდოვა.

მთავარი პრიზი – ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას სახელობის თასი – რუსთაველთა კაპიტან ლევან ცეკვავას საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა პაატა გურასპაულმა გადასცა.

# საქართველო რუსეთს წყალში ეომა

საქართველოს ვაჟ წყალბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა ევროპის 2020 წლის ჩემპიონატზე ფლეი ოფში უმნიშვნელოვანესი მატჩი გამართა რუსეთთან და 13:14 (4:6, 2:3, 4:2, 3:3) წააგო.



ფავორიტი რუსეთის ნაკრები იყო – მეტიც, სპეციალისტები იოლ მოგებას პროგნოზირებდნენ. თუმცა საქართველოს ნაკრებმა ნამდვილი ომი გამოუცხადა და მეტოქეს ბოლომდე ეომა. ცოტა მეტი გამოცდილება და გამართლება რომ ჰქონოდათ, შესაძლოა, არც წაეგოთ.

თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მეტოქე მუდმივად წინ იყო, მაგრამ ქართველები თამაშის გადარჩენის შანსს ბოლო წამამდე ინარჩუნებდნენ.

თამაში რუსების უპირატესობით დაიწყო და 3:1 დაწინაურდნენ. ჩვენებმა მალევე გაათანაბრეს, მაგრამ მეტოქემ მეოთხედი მაინც 2 ბურთით მოიგო – 6:4.

მეორე პერიოდი რუსებმა 3:2 მოიგეს და სხვაობა გაიზარდა. მესამეს დასაწყისში მეტოქემ სხვაობა 4-მდე გაზარდა და მატჩისწინა პროგნოზი თითქოს მართლდებოდა, მაგრამ ჩომახიძის შეგირდებმა თამაში შემოატრიალეს, პერიოდი 4:2 მოიგეს და შანსი დაიტოვეს – 10:11.

ბოლო მეოთხედში რუსები 3 ბურთით დაწინაურდნენ, მაგრამ ჩვენებმა ჯერ სხვაობა მინიმუმამდე დაიყვანეს და ბოლო წამებზე შეტევაც მიიღეს, მაგრამ ვერ გამოიყენეს და დამარცხდნენ.

საქართველოს ნაკრებში ყველაზე შედეგიანები ფაბიო ბარალდი და მარკო იელაჩა იყვნენ, რომელთაც 3-3 გოლი გაიტანეს, დამირ ცრეპულიამ, ზურაბ რურუამ და ბორის ვაპენსკიმ თავი 2-2-ჯერ გამოიჩინეს, ერთხელ კი გიორგი მაგრაქველიძემ შეაგდო.

**რევაზ ჩომახიძე:**

– ძალიან ცოტა დაგვაკლდა, რომ 8 გუნდში შევსულიყავით. ბიჭებმა ძალიან მაგრად ითამაშეს. რა თქმა უნდა, შეიძლებოდა რაღაც ნაკლები შეცდომების დაშვება, მაგრამ ამას ახლა არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. გუნდმა დადო ყველაფერი, რის გაკეთებაც შეეძლო და აჩვენა, რომ 8 გუნდში ყოფნის ღირსი იყო. სამწუხაროდ, სხვადასხვა მიზეზის გამო ეს არ მოხერხდა, თუმცა ვამაყობ შედეგით და ვამაყობ გუნდით. მსაჯობაზე კომენტარს არავითარი აზრი არა აქვს. ჩემი აზრით, ზოგადად საზოგადოება, წყალბურთის სამყარო მზად არ იყო იმისათვის, რათა საქართველოს ნაკრები 8 გუნდში ეხილა.

ამგვარად, საქართველოს ნაკრები ევროპირველობის 9-12 ადგილებისთვის ბრძოლას განაგრძობს და პირველ მეტოქედ თურქეთი ეყოლება. თუკი ქართველმა წყალბურთელებმა ეს მატჩი მოიგეს, 24 იანვარს მე-9 პოზიციისთვის გერმანიასა და რუმინეთს შორის უმჯობესს გაეჯიბრებიან.

# ანანიძე და სპარტაკი დაშორდნენ

11-წლიანი ურთიერთობის შემდეგ ჟანო ანანიძემ და მოსკოვის სპარტაკმა ურთიერთობა გაწყვიტეს. ჟანოს კარიერაში სხვა კლუბთან არც ჰქონია კონტრაქტი, მხოლოდ განათხოვრებით იყო როსტოვსა და კრილიაში. ორივე შემთხვევაში მწვრთნელმა მიოდრაგ ბოჟოვიჩმა წაიყვანა.



რუსული მედიის ცნობით, ხელშეკრულების გაწყვეტის პირობები ცნობილია. სპარტაკს ჟანოსთან კონტრაქტის გაუქმება 1,4 მილიონი ევრო დაუჯდება, რადგან მასთან შეთანხმების ამოწურვამდე კიდევ 16 თვე იყო დარჩენილი.

ქართველი ნახევარმცველი სპარტაკის სკოლაში 2007 წელს მივიდა, 2009 წლის 15 ივლისს კი მთავარ გუნდში ჰქონდა დებიუტი. 16 წლის ანანიძემ რუსეთის თასზე კრასნოდარის წინააღმდეგ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და 90-ე წუთზე გატანილი გოლით სპარტაკის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა გოლის ავტორი გახდა. ქართველის რეკორდი დღემდე ძალაშია. სპარტაკის შემადგენლობაში ანანიძემ 146 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და 16 გოლი გაიტანა.

წასვლის დრო ნამდვილად იყო, შესაძლოა, დაგვიანებულიც. სპარტაკში ქართველ ნახევარმცველს სათამაშო პრაქტიკა თითქმის არ ჰქონდა. წარმოიდგინეთ, 11 სეზონში მატჩების რაოდენობით 5 სეზონსაც ვერ ავსებს. აქედან უმეტესობა შეცვლებზე იყო შესული. არადა, 2009 წელს, როცა ჟანო სპარტაკის მთავარ გუნდში დააწინაურეს, სულ სხვა იმედები გვქონდა.

სად გააგრძელებს კარიერას ანანიძე, ჯერ უცნობია. დიდი შანსია, ეს კლუბი რუსეთის პრემიერლიგელი ტამბოვი იყოს. რუსული კლუბის დირექტორმა დაადასტურა ქართველ ფეხბურთელთან მოლაპარაკება, მაგრამ, ისიც დასძინა, ანანიძეს სხვა კლუბებიდანაც აქვს შემოთავაზებები და, თუ ის არ გამოვიდა, ჩვენთან ჩამოვაო.

სხვა კლუბებიდან ერთი, შესაძლოა, კვიპროსული ანორთოსისი იყოს. იქაური პრესა წერს, რომ ქეცბაიას გუნდის სამიზნე ქართველი ნახევარმცველი ჟანო ანანიძეა.

ქეცბაიასთვის გუნდში ქართველის მიყვანა ახალი ხილი არ არის. ანორთოსისის ძირითად გუნდში 4 ქართველი ფეხბურთელი ირიცხება – გიორგი ლორია, მურთაზ დაუშვილი, თორნიკე ოქრიაშვილი და ნიკა კაჭარავა.

მანამდე იყო საუბარი თურქულ დენიზლისფორზე, რომელსაც ფეხბურთელის იჯარით აყვანა სურდა. ახლა ჟანო სულაც თავისუფალი აგენტია და ვნახოთ, დაინტერესდებიან თუ არა თურქები ქართველი ფეხბურთელით.

# შედეგები

**20 იანვარი**
**ფეხბურთი**

**ოლიმპიადა 2020. შესარჩევი ეტაპი**
**სამხრეთ ამერიკა**

ურუგვაი-პარაგვაი ........................ 1:0
ბრაზილია-პერუ ............................. 1:0

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ვესტ ბრომვიჩი-სტოკი .................. 0:1

**იტალია. სერია ა**

ატალანტა-სპალი ........................... 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 20 | 16 | 3 | 1 | 39-19 | 51 |
| 2.ინტერი | 20 | 14 | 5 | 1 | 41-17 | 47 |
| 3.ლაციო | 19 | 14 | 3 | 2 | 46-18 | 45 |
| 4.რომა | 20 | 11 | 5 | 4 | 37-22 | 38 |
| 5.ატალანტა | 20 | 11 | 5 | 4 | 50-28 | 35 |
| 6.კალიარი | 20 | 8 | 6 | 6 | 35-31 | 30 |
| 7.პარმა | 20 | 8 | 4 | 8 | 27-27 | 28 |
| 8.მილანი | 20 | 8 | 4 | 8 | 21-26 | 28 |
| 9.ტორინო | 20 | 8 | 3 | 9 | 26-28 | 27 |
| 10.ვერონა | 19 | 7 | 5 | 7 | 22-22 | 26 |
| 11.ნაპოლი | 20 | 6 | 6 | 8 | 28-28 | 24 |
| 12.ბოლონია | 20 | 6 | 6 | 8 | 29-32 | 24 |
| 13.ფიორენტინა | 20 | 6 | 6 | 8 | 25-29 | 24 |
| 14.უდინეზე | 20 | 7 | 3 | 10 | 19-31 | 24 |
| 15.სასუოლო | 20 | 6 | 4 | 10 | 32-35 | 22 |
| 16.სამპდორია | 20 | 5 | 4 | 11 | 20-33 | 19 |
| 17.ლეჩე | 20 | 3 | 7 | 10 | 23-39 | 16 |
| 18.ბრეშა | 20 | 4 | 3 | 13 | 19-38 | 15 |
| 19.სპალი | 20 | 4 | 3 | 13 | 14-30 | 15 |
| 20.ჯენოა | 20 | 3 | 5 | 12 | 21-41 | 14 |

**იტალია. სერია ბ**

კოზენცა-კროტონე ........................ 0:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

რიზე-გენჩლერი ............................. 2:0

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# ბასილაშვილმა სუნი სახლში გაუშვა

ნიკოლოზ ბასილაშვილმა ავსტრალიის ღია პირველობა გამარჯვებით დაიწყო. ტურნირზე 26-ე ნომრად განთესილმა 27 წლის ქართველმა ჩოგბურთელმა პირველ წრეში 22 წლის სამხრეთკორეელ კვონ სუნ ვუს 5-სეტიან დაძაბულ ბრძოლაში აჯობა – 6:7; 6:4; 7:5; 3:6; 6:3.



შეხვედრამ 3 საათსა და 55 წუთს გასტანა.

ბასილაშვილი პირველ სეტს 5:2-ს იგებდა, მაგრამ საქმე ტაი ბრეიკამდე მივიდა, სადაც გამარჯვება აზიელს დარჩა. ნიკამ მეორე სეტის დასაწყისში მეტოქის ზედიზედ 2 მოწოდებაზე იმარჯვა და ანგარიში გაათანაბრა. მესამეში ბასილაშვილი ჩამორჩა, მაგრამ 2:4-დან თამაში გამოასწორა და საბოლოოდ 7:5 გაიმარჯვა. მე-4 სეტი ისევ კვონ სუნ ვუმ მოიგო, ანგარიში გათანაბრდა და საქმე გადამწყვეტ, მეხუთე სეტამდე მივიდა, სადაც ქართველმა ჩოგბურთელმა მეტოქეს შანსი აღარ მისცა, მეექვსე გეიმში მისი მოწოდება მოიგო და საქმე საბოლოო გამარჯვებამდე მიიყვანა.

ბასილაშვილის ანგარიშზე 20 ეისი, 4 ორმაგი შეცდომა და 18-დან 7 რეალიზებული ბრეიკ პოინტია. სამხრეთკორეელმა 14 ეისი მოაწოდა, დაუშვა 4 ორმაგი შეცდომა და 16-დან 5 ბრეიკ პონტის რეალიზება მოახერხა.

მეორე წრეში ნიკოლოზ ბასილაშვილის მეტოქე ესპანელი ფერნანდო ვერდასკო იქნება, რომელმაც მანამდე რუს ევგენი დონსკოის იოლად, სამ სეტში სძლია.

შარშან მელბურნში მე-19 ნომრად განთესილმა ბასილაშვილმა 2 წრე წარმატებით დაძლია – ჯერ საკვალიფიკაციოდან გადმოსულ ამერიკელ კრისტოფერ ეუბანკსს, შემდეგ კი იტალიელ სტეფანო ტრავალიას აჯობა, მაგრამ მე-3 წრეში მომავალ ნახევარფინალისტთან, ბერძენ სტეფანოს ციციპასთან დამარცხდა.

დიდი სლემის წლის პირველი ტურნირის საპრიზო ფონდი 43.031.250 დოლარია. გამარჯვებული 2.000 სარეიტინგო ქულასა და 2.822.850 დოლარს მიიღებს.

# კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. უდიდესი ქრისტიანული დღესასწაული; 2. მონასტერი ხარაგაულის რაიონში; 3. ტერიტორიული ერთეული შუა საუკუნეების საქართველოში; 4. ბილიარდის ერთ-ერთი სახეობა; 5. ზღვის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 9. ქართველი კომიკოსი; 12. მოხეტიალე მომღერალი, მუსიკოსი ძველ საბერძნეთში; 14. აეროპორტი ტოკიოში; 15. გერმანული მსუბუქი ავტომობილი; 17. ოქროს ვარაყის ძველი ქართული სახელწოდება; 18. გარეგნული მომხიბვლელობა, შარმი.

**თარაზულად**: 6. დაბადების დღის აღნიშვნა; 7. ქარხნის ძველი ქართული სახელწოდება; 8. ჩანჩქერი არგენტინაში; 10. ხელის გამომხატველობითი მოძრაობა; 11. ტრიუკების შემსრულებელი კინოფილმში; 13. სასამართლო განაჩენის გასაჩივრება უმაღლეს ინსტანციაში; 16. თმის, წვერის გამკრეჭი ხელოსანი; 19. საკონდიტრო ნაწარმი; 20. მიუნჰენში განთავსებული მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ლუდის ბარი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ბუსეტო; 2. ხამონი; 3. სამშვილდე; 4. პლანკი; 6. რედისონი; 8. აგენტი; 11. ჰაბანერა; 12. კოდექსი; 16. გოგრა; 17. გიუმი; 18. ჰიმნი.

**თარაზულად:** 1. ბარხანი; 5. სქური; 7. ჰანტელი; 9. ეკოლოგი; 10. ინფანტი; 13. ტანდემი; 14. ბატონი; 15. გობი; 19. სექვოია; 20. სიტროენი; 21. გალაქტიკა; 22. კაბუკი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. კაროუნა; 2. ფლიდი; 3. ხოდაბუნი; 4. პრომეთე; 5. დისპაშერი; 9. კრისტი; 12. სუფრული; 14. ქორქია; 15. ერბო; 17. კონკა; 18. ჭკუა.

**თარაზულად:** 6. ფაველა; 7. მოგერინი; 8. ტოლედო; 10. პეტრა; 11. ბაგრატიონი; 13. ექსპერტი; 16. ბუზუკი; 19. კომუნიკე; 20. ნაფტუსია.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


22 იანვარი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.8877

ევრო — 3.2077

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.7676

100 რუსული რუბლი — 4.6737

## ამინდის პროგნოზი 22 იანვრისთვის







## 21 იანვრიდან

რევაზ მიშველაძე

# ქრისტე

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

## ვახო სანაია საავადმყოფოში გადაიყვანეს



ტელეწამყვანი ვახო სანაია საავადმყოფოში გადაიყვანეს. ეს გადაწყვეტილება ტვე პირველში გამოძახებულმა სასწრაფო დახმარების ექიმებმა მიიღეს.

ინფორმაცია ჟურნალისტმა თავად გაავრცელა:

— არ ვიყავი კარგად. თავი, გული, ისა, ესა. ყველაფერი. იმდენად ცუდად ვიყავი, დილიდან პიჟამოთი დავბოდიალობდი სახლში. ისე დავმძიმდი, რომ ჩაცმის თავიც არ მქონდა, მაგრამ გადაცემა გადაცემაა და უნდა წავსულიყავი სამსახურში.

ჰოდა, ავდექი და გახდისა და ისევ ჩაცმის ენერგია აღარ მქონდა, ავდექი და ამ პიჟამოზე ზემოდან ჩავიცვი შარვალი და წავედი სამსახურში. გზაში და მერე სამსახურში კიდევ უფრო ცუდად გავხდი. წამოვწექი დივანზე. შემოვიდა პროდიუსერი თიკო ლევანიშვილი. ფერი არ მომწონსო და მიმასაჟებს ხელის გულებს. მერე შემოვიდა ლელა რევიშვილი, რომელსაც ზოგადად არ სჯერა, რომ მე ოდესმე მოვკვდები, მაგრამ ამჯერად შეშფოთდა ჩემი სახის დანახვაზე. არიქა, ატყდა ამბავი, რომ ვკვდები.

ინგა გრიგოლია, რომელიც თავადვე ძლივს გამოჯანმრთელდა, შეშფოთებული შემოვიდა. ჩემი ავადმყოფობისადმი სკეპტიკურად და ცინიკურად განწყობილი დიანა ტრაპაიძე უკვე ვეღარ მალავდა, რომ საქმე სერიოზულად იყო და შეწუხდა. ასე სწრაფად და დროულად არასდროს მისულა სადმე ნინო ჟიჟილაშვილი. ამ სამყაროში ყველაზე ინფორმირებული ადამიანი ალინა ჩხაიძე, რა თქმა უნდა, იქვე გაჩნდა.

ვითარებას აკონტროლებდა ნანა აბურჯანიძე. საზღვარგარეთიდან შეუწყვეტლად რეკავს ვატო წერეთელი. გაივსო ოთახი ხალხით. გაიღო კარი და სასწრაფო დახმარების ბრიგადაც შემოგვიერთდა. იწყო ხალხმა დენა ჩვენს ოთახში. სასწრაფომ შეიხსენი ღილები, მკერდზე რაღაცები უნდა დაგიმაგროთო. ფეხებიც გვაჩვენე, მანდაც რაღაცებს დავაყენებთო.

გამომდინარე იქიდან, რა ხალხი ესწრებოდა ამ ამბავს, თან ყველანი ტელეფონებით შეიარაღებულნი, ვიკითხე, ეს ფეხებზე დამაგრება აუცილებელია-მეთქი? კიო, დაბეჯითებით მიპასუხა ექიმმა. და, აი, აქ გამოჩნდა ჩემი პიჟამო და დაიწყო ინგას, დიანას და სხვების ხორხოცი. ყრუდ ისმოდა სიტყვები „ორი შარვალი“, „ორი შარვალი“. მოიმარჯვეს ტელეფონები. არსებობს მტკიცებულებებიც.

ერთი დეტალიც: ახლა აქედან სასწრაფოს მანქანამდე საკაცით უნდა წაგიყვანოთო. აი მანდ უკვე წამოვხტი, მე სანამ ცოცხალი ვარ, ამ შენობიდან საკაცით არ გავალ-მეთქი...

მერე კიდევ იყო რაღაცები, საავადმყოფოშიც გადამიყვანეს. ახლა კარგად ვარ. გმადლობთ მოკითხვისთვის, ყურადღებისთვის.

ჰოდა, შეკითხვა: შარვლის ქვეშ პიჟამო ვის გცმიათ?

## იუმორი

ცოლი ქმარს ეუბნება:

— მივდივარ.

— არ მიკვირს. გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენი ურთიერთდამოკიდებულება სულ უფრო და უფრო უარესდება, დარწმუნებული არ ვარ, რომ ჩვენ საერთოდ გვესმის ერთმანეთის.

— მაღაზიაში მივდივარ!

— მაშინ, ლუდი გამომიყოლე.

•••

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:

— იცი, გიგიმ იცის, რომ გათხოვილი ვარ და უკვე ნახევარი წელია, მაინც ჩემთან დადის!

— ჰო, როგორი ნაძირალები არიან ეს მამაკაცები...

•••

საგზაო ნიშანზე „გასწრება აკრძალულია“ მინაწერია გაკეთებული:

— პატივცემულო ქალბატონებო, ეს ნიშანი ვრცელდება არა მხოლოდ წითელი და შავი ფერის მანქანებზე!!!

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

— იცი, მეგან მარკლი ერთადერთი ქალია მსოფლიოში, რომელიც პრინცს გაჰყვა ცოლად და ის ბაყაყად გადააქცია.

•••

ტალახის აბაზანების მიღების შემდეგ გარეთ გამოსული მამაკაცი იძახის:

— სასწაული! სასწაულია პირდაპირ! ისევ ფეხით დავდივარ!

მასთან ერთ-ერთმა იქ მყოფმა მიირბინა და ეკითხება:

— მართლა განიკურნეთ?

— არა, უბრალოდ, ჩემი მანქანა მოუპარავთ.

•••

მამაკაცი ქალს მიმართავს:

— შეიძლება საცეკვაოდ მიგიწვიოთ?

— არა, ოთხი შვილის დედა ვარ.

— ააა, მაშინ დაისვენეთ, დასვენება გჭირდებათ!

## ვან დეიკი: „ლივერპულის ძალა გუნდურობაშია“



ლივერპულის ცენტრალურმა მცველმა ვირჯილ ვან დეიკმა განაცხადა, რომ ლივერპულის მთავარი ძალა მისი გუნდურობაა, რადგან მოედანზე ყველა ფეხბურთელმა იცის, თუ რა ევალება მას.

ჰოლანდიელი მცველი თვლის, რომ თუ ლივერპულმა ასე გააგრძელა, მას ვერავინ შეაჩერებს: — ჩვენ პირველ რიგში გუნდური თამაშით ვართ გამორჩეულები და მოედანზე ერთმანეთს ძალიან კარგად ვუგებთ. ასეთი რამ წარმატებისთვის აუცილებელია. მთავარია, რომ მომავალშიც ასე გაგრძელდეს და ვფიქრობ, კიდევ ბევრ ტიტულს მოვიგებთ.

ლივერპული პრემიერ ლიგას ამჟამად 16-ქულიანი უპირატესობით ლიდერობს.

## კილიან მბაპე: „ჩემი კერპი ბრაზილიელი რონალდო იყო“

პსჟ-ს ვარსკვლავმა კილიან მბაპემ თავისი ბავშვობის კერპებზე ისაუბრა და თქვა, რომ მას ყველაზე მეტად ბრაზილიელი რონალდო მოსწონდა.



მბაპემ ზინედინ ზიდანიც გამოარჩია და თქვა, რომ ის საფრანგეთის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესოა:

— როდესაც ბავშვი ვიყავი, მახსოვს, როგორ ვუყურებდი ბრაზილიელი რონალდოს თამაშს და მისი სტილი ძალიან მომწონდა. ვფიქრობ, მე და რონალდოს მსგავსი სტილი გვაქვს და მისი ყურებით ბევრი რამ ვისწავლე. ასევე უნდა გამოვარჩიო ზიდანი, რომელმაც საფრანგეთს უამრავი გამარჯვება მოუტანა.

## კრისტიან ერიქსენი ინტერის ფეხბურთელი გახდება



ლონდონის ტოტენჰემის დანიელი ნახევარმცველი კრისტიან ერიქსენი უახლოეს დღეებში მილანის ინტერის ფეხბურთელი გახდება. ინტერისა და ტოტენჰემის მოლაპარაკებები ბოლო ფაზაში შედის და მილანელები ამ ტრანსფერში 15 მილიონს იხდიან.

ტოტენჰემს გაცილებით დიდი თანხის მიღება სურდა, მაგრამ ერიქსენს ზაფხულში კონტრაქტი უმთავრდება და ტოტენჰემი იძულებულია, ინტერის პირობებს დასთანხმდეს. ერიქსენმა იანვრის დასაწყისში განაცხადა, რომ მას ტოტენჰემიდან წასვლა სურდა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## ლევან გელბახიანს ოქროს ხოჭო გადაეცა




ქართველმა მსახიობმა ლევან გელბახიანმა ლევან აკინის ფილმში „და ჩვენ ვიცეკვეთ“ მერაბის როლის შესრულებისთვის ოქროს ხოჭო მიიღო.

შვედეთის დედაქალაქ სტოკჰოლმში შვედეთის ეროვნული კინოდაჯილდოვების რიგით 55-ე ცერემონია გაიმართა, სადაც ფილმმა „და ჩვენ ვიცეკვეთ“ 7 ნომინაციიდან 4 ნომინაციაში გაიმარჯვა: საუკეთესო მამაკაცი მსახიობი, საუკეთესო ფილმი, საუკეთესო სცენარი და საუკეთესო კინემატოგრაფია.

ლევან გელბახიანი ამ როლის შესრულებისთვის უკვე დაასახელეს საუკეთესო მამაკაც მსახიობად სხვადასხვა საერთაშორისო კინოფესტივალებზე.

## გიორგი კეკელიძე დააჯილდოვეს



ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი, მწერალი და პოეტი გიორგი კეკელიძე დააჯილდოვეს.

ფონდმა „ქართულმა გალობამ“ მას განსაკუთრებული ჯილდო „მადლიერების ჩიტი“ გადასცა.

**გიორგი კეკელიძე:**

— ფონდი ამ ჯილდოს იმ ადამიანებს გადასცემს, რომელთაც ქართული ფოლკლორის წინაშე განსაკუთრებული ღვაწლი გასწიეს.

უდიდესი მადლობა ასეთი დაფასებისთვის, თუმცა მე უკანასკნელი ვარ, ვინც ამ ჯილდოს იმსახურებს, შესაბამისად, ის ეროვნული ბიბლიოთეკის ყველა თანამშრომელს ეკუთვნის, ვინც ფოლკლორის დარბაზის შექმნაში მონაწილეობდა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## ასტროპროგნოზი



22 იანვრისთვის

**ვერძი** — კოლეგებთან და ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა იღბლიანია. ორგანიზებულობა და სითამამე დღის დევიზია. **კურო** — ილუზიებს ნუ აჰყვებით. საღი აზრი შეინარჩუნეთ. შორს გამგზავრება რეკომენდებული არ არის. **ტყუპები** — ახლობლები იმედს გაგიცრუებენ. პროფესიაში უკუსვლაა მოსალოდნელი. **კირჩხიბი** — დაისვენეთ, შეიცვალეთ გარემო. ახალი საქმის დასაწყებად ენერგია გჭირდებათ. **ლომი** — იდეების რეალიზებაში კოლეგები დაგეხმარებიან. შესაძლოა, დაგასაჩუქრონ. **ქალწული** — გარისკვა დღეს სასურველ შედეგს გამოიღებს. ფინანსურ ოპერაციებში გიმართლებთ. **სასწორი** — არაჯანსაღი გარემო, საკვები და ინერტულობა ჯანმრთელობას გაგიუარესებთ. ფიზიკური დატვირთვა დღეს სავალდებულოა. **ღრიანკალი** — რომანტიკული შეხვედრა ხასიათს გამოგიკეთებთ. ეცადეთ, დღეს ნაკლები იმუშაოთ. **მშვილდოსანი** — ერიდეთ კომერციულ გარიგებებსა და საქმიან შეხვედრებს. უმჯობესია, ეს დღე ოჯახურ ატმოსფეროში გაატაროთ. **თხის რქა** — ოფიციალურობა და სიხისტე არასასურველია. იყავით გულმოწყალე და მიმნდობი. **მერწყული** — სრულყავით პროფესიონალიზმი, შეისწავლეთ ახალი საქმე. სულიერებაზეც იზრუნეთ. **თევზები** — სოლიდური ორგანიზაციები თქვენ მიმართ ინტერესს ავლენენ. ეცადეთ, საკუთარი ნიჭი და უნარი ფართოდ წარმოაჩინოთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი სამხრეთკორეული გემთმშენებელი კომპანია; 2. ინდოეთის ქალაქ ბომბეის დღევანდელი სახელწოდება; 3. ეპიკური პოემა „ილიადას“ ავტორი; 4. ყოველდღიური გაზეთი საფრანგეთში; 6. საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევი პირი; 8. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 11. სპორტის სათამაშო ოლიმპიური სახეობა; 12. კბილების დაავადება; 16. შთამომავლობის თითოეული საფეხური; 17. სახელმწიფო ევროპაში; 18. ეთერზეთოვანი მცენარე, სურნელოვანი ყვავილი.

**თარაზულად**: 1. უკრაინის მმართველთა ტიტული ძველად; 5. წნული ქოხი სამეგრელოში; 7. პოპულარული ბაზარი ბარსელონაში; 9. საფრანგეთის ნაკრებისა და „ბარსელონის“ ფეხბურთელი; 10. მოვლენის, პროცესის მიზეზი, მამოძრავებელი ძალა; 13. მარმარილოს საბადო ტყიბულის რაიონში; 14. ფრანგი კინორეჟისორი; 15. ჩეხური მოტოციკლეტი; 19. შვეიცარიელი საზოგადო მოღვაწე, საერთაშორისო „წითელი ჯვრის“ ორგანიზაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი; 20. ბიბლიის ნაწილი; 21. ქართული მინერალური წყალი; 22. ისლამის ერთ-ერთი მიმდინარეობა.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

